№100 ხუთშაბათი
18 დეკემბერი 2014 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

# გურია NEWS

დღევანდელ ნომერში



# "კვირის თემა" – ციებ-ცხელება გასაუბრების მოლოდინში

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

**ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული ვაკანტური ადგილების დასაკავებლად ჩოხატაურში, ოზურგეთსა და ლანჩხუთში ათასზე მეტმა ადამიანმა გამოსცადა თავი. გამსვლელი ქულა გურიის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე დაბალი ჩოხატაურში იყო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ბევრმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა.**



**გელა კილაძე და ზაზა ურუშაძე გადაცემაში "კვირის თემა"**
| ფოტო: დავით ჩხიკვაძე

ჩაჭრილების უმრავლესობა სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. ჩაჭრილებს შორისაა გამგეობების მოქმედი თანამშრომლებიც, მათ შორის, ოთხი ადამიანი განყოფილების უფროსი იყო.

როგორ ჩაიარა ტესტირებამ და რა ელით წინ კონკურსანტებს _ ამ თემაზე ისაუბრეს G-News TV-ის გადაცემაში _ "კვირის თემა" საკონკურსო/საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეებმა: **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაზა ურუშაძემ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გელა კილაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ** და **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მინდია ჟღერიამ.**

როგორც გაირკვა, ტესტირებაზე ყველაზე მაღალი შედეგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აჩვენეს.

მერაბ ჭანუყვაძის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს აპარატში 137 ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად განაცხადი შეიტანა 488 კანდიდატმა. მათ შორის, გამგეობაში _ 416 კანდიდატმა 123 ვაკანსიაზე, ხოლო საკრებულოს აპარატში _ 72 კანდიდატმა 14 ვაკანსიაზე.

24 ნოემბრის კომისიის სხდომაზე 392-მა აპლიკანტმა სრულად დააკმაყოფილა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე _ ტესტირებაზე. ხოლო, 98 კანდიდატს მიეცა ორი სამუშაო დღის ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად. აქედან, 18-მა აპლიკანტმა აღმოფხვრა ხარვეზი და, საერთო ჯამში, კონკურსის ტესტირების ეტაპზე გადავიდა 410 კანდიდატი.

2014 წლის 13-14 დეკემბერს ტესტირება ჩატარდა. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 368 კანდიდატმა, ხოლო ტესტირებაზე არ გამოცხადდა 42 კანდიდატი.

გასული კონკურსანტებიდან კი მხოლოდ 25 ჩაიჭრა. აქედან, როგორც ჭანუყვაძემ აღნიშნა, სამი მათგანი გამგებლის წარმომადგენელი იყო სოფლებში, ხოლო რამდენიმე _ გამგეობის მოქმედი სპეციალისტი.

ჩოხატაურში 220 მოქალაქე გავიდა ტესტირებაზე, აქედან ზღვარი, რომელიც 33 ქულას შეადგენდა, გადალახა 137-მა, 19 არ გამოცხადდა, დანარჩენებმა საჭირო ქულები ვერ დააგროვეს. მინდია ჟღერიას თქმით, ჩაიჭრა გამგებლის 9 წარმომადგენელი, განყოფილების 4 უფროსი, ორი _ სამხედრო კომისარიატში, ერთი _ ადმინისტრაციულ სამსახურში, ერთი კი _ სოციალური სამსახურში. ჩაჭრილებიდან 15 გამგეობის და საკრებულოს მოქმედი სპეციალისტები არიან.

ზაზა ურუშაძის თქმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაზე 243-მა აპლიკანტმა შეიტანა განაცხადი. აქედან, ტესტირების ეტაპზე 205 ადამიანი გადავიდა.

►ა-3

# "ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები შესწავლას და რეაგირებას საჭიროებს"

**"საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" ეხმაურება ბოლო პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან რეგიონული მედიის საქმიანობაში ჩარევისა და ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტებს.**

### "სამხრეთის კარიბჭე"

მიმდინარე წლის დეკემბერში, ახალციხეში მოქმედმა რეგიონულმა გაზეთმა და ვებპორტალმა _ "სამხრეთის კარიბჭემ" გამოაქვეყნა სტატია სათაურით _ "ბრალდებულის და: სამხარეოს უფროსმა წიხლები მირტყა, ტანსაცმელი შემომაგლიჯა და გაუპატიურებით დამემუქრა." სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელი ეკატერინე ათოშვილი "სამხრეთის კარიბჭის" რედაქტორს ნინო ნარიმანიშვილს დაუკავშირდა და სტატიის სათაურის შეცვლა სთხოვა. უარის მიღების შემდეგ, პოლიციის თანამშრომელმა განმეორებით სცადა ჟურნალისტის გადარწმუნება. იმავე საღამოს, ჟურნალისტთან მისი ახლობელი პოლიციის თანამშრომელი მივიდა და სტატიის სათაურის შეცვლა "შინაურულად" სთხოვა. რედაქციამ სტატიის სათაური არ შეცვალა, რის შემდეგაც პორტალის ოფისთან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა "სამხრეთის კარიბჭის" წინააღმდეგ აქცია მოაწყვეს და ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის მხრიდან მუქარის ფაქტს ადგილი არ ჰქონდა. "სამხრეთის კარიბჭის" სტატია რეგიონის ერთ-ერთ სოფელში ჩადენილი გახმაურებული მკვლელობის გამოძიებას შეეხებოდა. ეჭვმიტანილის დის განცხადებით, მას და მის არასრულწლოვან შვილს, დაკითხვისას, პოლიციის შენობაში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და გაუპატიურებით დაემუქრნენ, რაშიც, სხვა თანამშრომლებთან ერთად, სამმართველოს უფროსი თეიმურაზ კალანდაძე მონაწილეობდა. "სამხრეთის კარიბჭის" თანამშრომლების განცხადებით, მას შემდეგ, რაც პოლიციას სათაურის შეცვლაზე უარი განუცხადეს, სამართალდამცავებმა სოფლის მცხოვრებლების აქციის ორგანიზება მოახდინეს. პოლიცია, ასევე, დაზარალებულის დის ჩვენების შეცვლას შეეცადა. "სამხრეთის კარიბჭის" ჟურნალისტების მიერ ეთიკის ქარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ყოფილი პატიმარი ზურა ხუციშვილი მივიდა, რომელმაც ჟურნალისტები რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაციაში დაადანაშაულა.

### "გურია ნიუსი"

რამდენიმე დღის წინ ოზურგეთის ახლადარჩეულმა **მერმა ბეგლარ სიორიძემ** "გურია ნიუსის" კორესპონდენტს შეურაცხყოფა მიაყენა, მას შემდეგ, რაც ჟურნალისტმა დაურეკა და ჰკითხა, თუ რა კრიტერიუმით შეარჩია მერმა პირები, რომელთაც საპატიო ოზურგეთელის წოდება მიენიჭათ.

მანამდე კი, მიმდინარე წლის თებერვალში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა**კონსტანტინე შარაშენიძემ** "გურია ნიუსის" ჟურნალისტ ჟანა მეგრელიშვილს შეუარაცხყოფა მიაყენა, როდესაც ჟურნალისტი მისგან კომენტარის აღებას ცდილობდა. ყოფილმა გამგებელმა შემდეგ ბოდიში მოიხადა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კონსტანტინე შარაშენიძე ჟურნალისტებთან ურთიერთობაში აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა.

**ოზურგეთის მერის მრჩეველი, საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, სოფო ჭანტურია,** ადგილობრივი მედიის, მათ შორის "გურია ნიუსისა" და "გურიის მოამბის" წარმომადგენლებს, სოციალურ ქსელში სისტემატურად ბრალდებებს უყენებდა და ზოგს საქმიანობის აკრძალვითა და ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით ემუქრებოდა.

"გურია ნიუსის" განცხადებით, სოფო ჭანტურიას განცხადებების გამო ჟანა მეგრელიშვილმა პროკურატურას მიმართა, თუმცა, მათი მხრიდან პასუხი ჯერ არ მიუღია.

პროკურატურას "გურია ნიუსის" კიდევ ერთმა ჟურნალისტმა მიმართა, მას შემდეგ, რაც კორესპონდენტის განცხადებით, სოციალური მედიის "მართალი გურულის" გვერდზე პირადი მიმოწერის ამსახველი ე.წ. სკრინშოტები გავრცელდა, რომლებიც გაყალბებული ექაუნთიდან იყო გაკეთებული. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება ნატო გოგელიას განცხადების საფუძველზეა დაწყებული.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას: უზრუნველყოს "სამხრეთის კარიბჭის" საქმიანობაში პოლიციის ჩარევის ფაქტების გამოძიება, როგორც ჟურნალისტებზე ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის შესაძლო ფაქტებზე, ასევე, სამართალდამცავი პირების მიერ მედიის საქმიანობაში ჩარევის შემთხვევებზე; დადგეს იმ საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც "გურია ნიუსის" ჟურნალისტებზე ახორციელებდა ზეწოლას.

## მთავარი თემა

### "ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება თითოეული ქართველისთვის მნიშვნელოვანია"

***(ინტერპრესნიუსი)*** _ "ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება თითოეული ქართველისთვის ძალიან მნიშვნელოვანია", _ ამ სათაურით აქვეყნებს ევროპარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი ინტერვიუს ლატვიელ ევროპარლამენტართან, "სოციალ-დემოკრატების" პარტიის წევრ ანდრეს მამიკინსთან. ლატვიელი ევროპარლამენტარის განცხადებით, საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის 29% ევროკავშირზე მოდის და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასოცირების შეთანხმების შემდეგ საქართველოს თავისუფლად ვაჭრობის შესაძლებლობა ექნება. "ეს გადაწყვეტილება ასევე ძალიან სიმბოლურია საქართველოს საბჭოური ერიდან ევროკავშირისკენ გარდაქმნის თვალსაზრისით. ვიმედოვნებ, რომ ამას მოჰყვება თავისუფალი ვიზა ლიბერალიზაციის პროცესი და ადრე თუ გვიან, ევროკავშირის წევრობა", _ განაცხადა ანდრეს მამიკინსმა.

ლატვიელმა ევროპარლამენტარმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს უნდა მიეცეს დრო მართლმსაჯულების რეფორმების გასაგრძელებლად. მისივე განცხადებით, ბევრი პოლიტიკოსი აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას ე.წ. "შერჩევითი სამართლისთვის".

"ქართული პოლიცია აღარ არის ისეთი კორუმპირებული, როგორიც ეს 15 წლის წინ იყო. სინამდვილეში საქართველო სხვების მსგავსი, ნამდვილი ევროპული სახელმწიფოა, სადაც ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვანი დაირწა", _ აღნიშნავს ლატვიელი ევროპარლამენტარი. ანდრეს მამიკინსმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. მისივე განმარტებით, როდესაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმზე მოლაპარაკებები დაიწყება, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ბევრი ადამიანი შეინარჩუნებს ქართულ პასპორტებს და დაუბრუნდება ქართულ საკონსტიტუციო სივრცეს. "სექტემბერში საქართველოსა და ცხინვალის რეგიონს შორის არსებულ უკანონო საზღვარზე ვიყავი, სადაც მოხუც მამაკაცს შევხვდი, რომელიც ტიროდა, რადგან ცხინვალის მხარეს უწევდა ცხოვრება და ვერ კვეთდა საზღვარს, რომ თავისი შვილი ენახა. ქართველები აფხაზებსა და ოსებს საკუთარ ძმებად მიიჩნევენ. ხალხს შორის ომი არ არის, ეს არის ომი პოლიტიკოსებს შორის. ვიმედოვნებ, რომ ადრე თუ გვიან, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მოგვარდება და ევროკავშირს შეუძლია ამაში დახმარება", _ აღნიშნა ანდრეს მამიკინსმა. ევროპარლამენტი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას დღეს მოახდენს.

მორიგე რედაქტორი
ნატო გოგელია

მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე ვრცელ მასალას და შეუკვეთავ წერილებში ჰონორარს არ გასცემს

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
თბილისის განყოფილების ხელმძღვანელი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სარეკლამო მენეჯერი
ჟანა მეგრელიშვილი
☎571903979
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎571 903983
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

განცხადებების ფასები

ნებისმიერი სახის განცხადება: სიტყვა _ 20 თეთრი;

შავთეთრ სურათიანი განცხადება დამატებით ერთი ლარი, ფერადსურათიანი მილოცვა _ ორი ლარი.

სამგლოვიარო განცხადებების განთავსების მიზნით ფართის შეძენისას, ღირებულება იანგარიშება შესაბამისი გვერდის ფასის _ 350 ლარის მიხედვით.

რეკლამის ფასები

არაპოლიტიკური რეკლამა:
**1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი (მთლიანი გვერდის ზომაა 1000 კვადრატული სანტიმეტრი)**

**პირველ გვერდზე (ფერადი): _ 1.75 ლარი;**
**მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე: _ 0.35 ლარი;**
**ბოლო გვერდზე (ფერადი) _ 0.70 ლარი;**
**დანარჩენ გვერდებზე _ 0.25 ლარი.**

**შავ-თეთრი გვერდის ფერადად დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.**

პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია.

*გაზეთი დაბეჭდილია შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში. მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39, ტელ: 2343330. ელ-ფოსტა: print@asavali.ge*

# საბრძოლო ჭურვი აღმოაჩინეს

(*გურია ნიუსი, ლანჩხუთი*) _ "გურია ნიუსის" ინფორმაციით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, იური ჩხაიძის კუთვნილ ნაკვეთში საბრძოლო ჭურვი აღმოაჩინეს და იქ სპეციალურად გამოძახებული შინაგან საქმეთა სამინისტროს გამნაღმველთა ჯგუფი მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ჩხაიძეს აღნიშნულ ფართობზე მრავალი წელია, საქონლის ფერმა აქვს. ჩვენ ვცდილობდით, ინფორმაციის გადასამოწმებლად თავად ფერმის მესაკუთრეს დავკავშირებოდით, თუმცა, მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

# "რიცხვი კვლავ მაღალია"

*(გურია ნიუსი, თბილისი)* _ როგორც სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, წლის განმავლობაში ციხეებში სუიციდის 5 სავარაუდო ფაქტი დაფიქსირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ მხრივ პროგრამებია ასამუშავებელი.

მთავარი პრობლემა კი, ომბუდსმენის თქმით, წლის განმავლობაში იყო ის, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სათანადო გამოძიებები არ ტარდებოდა.

"ეს ეხება უშუალოდ სასჯელაღსრულების სამინისტროს, ასევე პროკურატურას, რომელმაც გამოძიება უნდა ჩაატაროს. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, რეალურად, არც ერთი საქმე ბოლომდე არ მისულა", _ განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

# დანაშაულის სტატისტიკა

*(გურია ნიუსი, თბილისი)* _ 2014 წლის ნოემბერში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2232 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1473 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 65,99%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა _15,1 %.



2014 წლის იანვარ-ნოემბერში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 24368 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 16104 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 66,09%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა _16,43 %.

# ლარმა ისევ გაუფასურება დაიწყო

*(გურია ნიუსი, თბილისი)* _ რამდენიმედღიანი გამყარების შემდეგ, ლარი ისევ გაუფასურდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ახალი გაცვლითი კურსის მიხედვით, გუშინ 1 დოლარის შეძენა 1,85 ლარად იყო შესაძლებელი.



ბანკთა შორის ვაჭრობის შედეგად, ეროვნული ბანკის ორშაბათს დადგენილი კურსი, 1.84-ს შეადგენდა. შაბათ-კვირას ლარი უფრო მყარი იყო და 1.81 ლარად შეიძლებოდა 1 აშშ დოლარის შეძენა.

# მისია ორი წლით გახანგრძლივდა

*(ინტერპრესნიუსი)* _ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობის პერიოდი კიდევ ორი წლით გახანგრძლივდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, მისიის მუშაობა საქართველოში 2016 წლის 14 დეკემბრამდე გაგრძელდება.




_ "ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით, ევროკავშირის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის კონკრეტულ მხარდაჭერას ახორციელებდა. ევროკავშირის ქვეყნები მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში", _ განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა უსაფრთხოების პოლიტიკისა და საგარეო საქმეთა საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში 2008 წლის სექტემბერში მას შემდეგ გამოიგზავნა, რაც 2008 წლის აგვისტოში ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა ექვსპუნქტიან შეთანხმებას რუსეთსა და საქართველოს შორის. მისიას საქართველოში 2013 წლის სექტემბრიდან ტოივო კლაარი ხელმძღვანელობს, რომელსაც უახლოეს ხანებში ახალი ხელმძღვანელი ჩაანაცვლებს.

დაფინანსებული ფართი

# მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო, თუმცა დაგვიანებით, **ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის მედპერსონალს** იმ თბილი და მაღალპროფესიონალური მომსახურებისთვის, რასაც ისინი იჩენენ ავადმყოფების მიმართ და რისი მოწმეც პირადად გავხდი ცენტრში მკურნალობისას.

დიდი მადლობა **ექიმს, ქალბატონ მანანა კუპრაძეს, მედდას ასმათ შაქარაშვილ-ენუქიძეს**, რომელთა მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი დამოკიდებულება მართლაც რომ უდიდეს პატივისცემას იმსახურებს საზოგადოებაში.

განსაკუთრებული მადლობა **ცენტრის დირექტორს, ბატონ დავით მდინარაძეს,** რომლის უშუალო დამსახურებაა ცენტრში გამეფებული პასუხისმგებლური დამოკიდებულება მოვალეობის შესრულებისას.

ბატონი დავით მდინარაძე მაღალპროფესიონალიზმთან ერთად გამოირჩევა განსაკუთრებული ყურადღებიანობით ადამიანების მიმართ (იმსახურებს კიდეც დამსახურებულ სამაგიერო სიყვარულს). ესეც არის მიზეზი, რომ სამედიცინო ცენტრს ხშირად მიმართავენ მეზობელი რაიონებიდან.

ცენტრში მკურნალობისას შევხვდი ავადმყოფებს ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებიდან, ქობულეთიდან, ბათუმიდანაც.

სამედიცინო ცენტრში, სამწუხაროდ, არის ცალკეული არასასიამოვნო შემთხვევები, რომელთა აცილება ექიმთა ძალებს აღემატება. მაგრამ მთავარია გამოირიცხოს სუბიექტური მიზეზები და მაქსიმუმი გაკეთდეს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, რასაც სწორედ ცენტრში გამეფებული მაღალი პროფესიონალიზმი განაპირობებს. ამავე დროს მოსახლეობის დამსახურებულ უკმაყოფილებას იწვევს ცენტრის პოლიკლინიკური განყოფილების სივიწროვე, რაც გამოსწორებას საჭიროებს. მიუხედავად სივიწროვისა, მედპერსონალი ყველაფერს აკეთებს ცენტრში მისული ადამიანების კეთილსინდისიერი მომსახურებისათვის.

აქვე მინდა, მადლიერება გამოვხატო **ანასეულის უბნის ექიმისა და მედდის, ქალბატონების _მერი ჩხაიძისა და მადონა ჩხარტიშვილის** მიმართ, რომლებიც ათეულობით წლის განმავლობაში დაუზარებლად და ერთგულად ემსახურებიან ანასეულის მოსახლეობას, მათ შორის, ბავშვებს, ბინასა თუ ამბულატორიაში, დღისით თუ ღამით, დარსა თუ ავდარში, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ტრანსპორტის გარეშე. არც თუ დიდი ხნის წინ, ეს ხდებოდა ანაზღაურების გარეშე ან მიზერული ხელფასით.

მედიცინა პროფესიათა შორის ერთ-ერთი ყველაზე რთული, პატივსაცემი და დასაფასებელი დარგია. სამედიცინო ცენტრის პერსონალს, მის დირექტორს, ბატონ დავით მდინარაძეს, ანასეულის მედიკოსებს გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს და ყოველივე კარგს. ძვირფასო ადამიანებო, დიდხანს ყოფილიყავით ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

*ნანული ორაგველიძე,*
*ოზურგეთი, ანასეული*

# სამახსოვრო ჩინოვნიკებისთვის

## საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
## თავიIII. ინფორმაციის თავისუფლება
## მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

**მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

**მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

**მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

**მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ**

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

# "გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია და დააზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაიცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თავისი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისზეც ის წერს.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ გააზვიადოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცვას ბავშვთა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნიოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტევებლობის ატმოსფერო.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცვას ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

# "კვირის თემა" – ციებ-ცხელება გასაუბრების მოლოდინში

ა-1▶

18 აპლიკანტი ტესტირებაზე არ მივიდა. გამოცხადებულთაგან კი მხოლოდ 37 ადამიანი ჩაიჭრა. იქიდან გამომდინარე, რომ ტესტირების შედეგები ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა, გადაცემის სტუმრებს კონკრეტული სახელი და გვარები არ დაუსახელებიათ, თუმცა, როგორც ურუშაძემ აღნიშნა, ჩაჭრილებიდან 3 გამგებლის წარმომადგენელი იყო, რამდენიმე კი გამგეობის მოქმედი წარმომადგენელი. მათ აქვთ გასაჩივრების ვადა. ამიტომ, არ დავასახელებთ კონკრეტულ გვარებს, _ აღნიშნა ურუშაძემ.

აღსანიშნავია, რომ ოზურგეთისგან და ჩოხატაურისგან განსხვავებით, ლანჩხუთში საკრებულოსა და გამგეობას ცალ-ცალკე აქვთ კომისიები შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ ლანჩხუთის საკრებულოში სულ 5 ვაკანსიაზე იყო კონკურსი გამოცხადებული.

ლანჩხუთის საკრებულოს საკონკურსო/საატესტატო კომისიის თავმჯდომარის, გელა კილაძის განცხადებით, ცალკე კომისიის გაკეთების უფლება მათ კანონით ჰქონდათ.

*_ თქვენი კითხვა, რომ კომისია გამგეობისადმი უნდობლობამ შეგვაქმნევინა, არ არის სწორი. კანონი გვაძლევდა ამის საშუალებას და ამიტომ გავაკეთეთ. ცალკე კომისიის შექმნას ხარჯების ზრდა არ გამოუწვევია,* _ აღნიშნა კილაძემ.

მისივე ინფორმაციით, საკრებულოს 5 ვაკანსიაზე განაცხადი 92 პირმა შეიტანა, აქედან, ტესტირების ეტაპზე 58 გადავიდა, ხოლო ზღვარი 46-მა გადალახა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ლანჩხუთის საკრებულო საკონკურსო/საატესტაციო კომისიამ თავი იმითაც გამოიჩინა, რომ კომისიის წევრად სასულიერო პირი, დეკანოზი მირიანი მიიწვია.

კილაძე ამბობს, რომ დეკანოზი მირიანის კომისიის წევრობით კანონი არ დარღვეულა და არც არავის უფლებები შელახულა. მათ შორის, არც რელიგიური უმცირესობების, რომლებმაც თავიანთი უკმაყოფილება ამ ფაქტთან დაკავშრებით, "გურია ნიუსთან" რამდენჯერმე დააფიქსირეს და აღნიშნეს, რომ ამით მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოხდებოდა.

როგორც კილაძემ აღნიშნა, ატეხილი აჟიოტაჟის გამო, დეკანოზმა მირიანმა, სამშაბათს დილით, კომისიას განცხადებით მიმართა და წევრობაზე უარი თქვა: _ *ვეკითხები იმ ადამიანებს, რომლებიც ამ თემაზე განცხადებებს აკეთებდნენ და ამბობდნენ, რომ სასულიერო პირის კომისიაში ყოფნით მათი უფლებები ირღვეოდა, ახლა ვისი უფლებებია დარღვეული, მათი თუ მამა მირიანის?* _ აღნიშნა კილაძემ, რომლის განმარტებით, ამ ფაქტის გამო, ძალიან შეწუხებულია.

გადაცემის ოთხივე სტუმარს ვკითხეთ, დაუშვებდნენ თუ არა გასაუბრებაზე მედიის წარმომადგენლებს. მინდია ჟღერიას თქმით, რომელსაც გასაუბრებაზე დასწრების სურვილით "გურია ნიუსმა" ოფიციალური განცხადებით წინა კვირას მიმართა, ამ საკითხს კომისიასთან ერთად გადაწყვეტს.

ზაზა ურუშაძემ აღნიშნა, რომ თუკი მედიის წარმომადგენლებს სურვილი ექნებათ, ამაში პრობლემას ვერ ხედავს და ჟურნალისტებს დაასწრებს, გელა კილაძის თქმით, მედიის წარმომადგენლებს მათთვის ჯერ არ მიუმართავთ, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებს კომისიამ უარი უთხრა იმ მოტივით, რომ ეს დაძაბულობას გამოიწვევს. გასაუბრებაზე მედიის დასწრების წინააღმდეგია მერაბ ჭანუყვაძე, რომელსაც არგუმენტად ის აქვს, რომ ეს ზოგიერთ კონკურსანტს დაძაბავს და არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ. თუმცა, რამდენიმე ათეულმა კონკურსანტმა "გურია ნიუსს" უკვე მიმართა გასაუბრებაზე დასწრების და მოვლენებზე დაკვირვების თხოვნით.

როგორც გავარკვიეთ, გასაუბრების ეტაპზე გადასული კონკურსანტების უმრავლესობა ყოფილი ხელისუფლების აქტიური სახეა.



**მინდია ჟღერია და მერაბ ჭანუყვაძე გადაცემაში "კვირის თემა"**
| ფოტო: დავით ჩხიკვაძე

მათ შორის, ის ადამიანები არიან, რომლებიც თვითმმართველობის არჩევნების წინ (აღარაფერს ვამბობთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე) "ქართულ ოცნებას" ღიად რომ უპირისპირდებოდნენ. როგორც გადაცემის სტუმრებმა აღნიშნეს, გასაუბრების დროს პარტიულ კუთვნილებას ყურადღება არ მიექცევა და კადრები ობიექტურად იქნება შერჩეული. მათივე ინფორმაციით, ტესტირებაზე მიღებულ ქულებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება და აქცენტი გამოცდილებაზე, პროფესიულ ცოდნაზე გაკეთდება. მერაბ ჭანუყვაძის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მუშაობის საშუალებას ახალგაზრდებსაც მისცემს:

_ ძალიან ბევრი ახალი სახეა. ახალგაზრდებმა ტესტირებაში ძალიან კარგი შედეგები აჩვენეს. ჩვენ მათ აუცილებლად მივცემთ სამსახურის დაწყების შანსს, _ აღნიშნა ჭანუყვაძემ.

**გადაცემის - "კვირის თემა" სრული ვერსიის ნახვა შეგიძლიათ გურია ნიუსის ვებგვერდზე www.gurianews.com.**

# პოლიტიკოსთა განცხადებების ფაქტობრივი სიზუსტე

სალომე სიგუა
გურია ნიუსი

**FactCheck.ge პოლიტიკოსთა განცხადებებში ფაქტობრივი სიზუსტის დადგენის ყოველკვირეულ მიმოხილვას აქვეყნებს.**

გასულ კვირას ყველაზე პოპულარული სტატია, ვებგვერდზე მნახველთა რაოდენობის მიხედვით, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, **ეკა ბესელიას** განცხადება იყო.

ბესელიას თქმით, "საყოველთაო ამნისტიის შედეგად 8 723 ადამიანი გათავისუფლდა. 2013 წელს იყო 503 შემთხვევა, როდესაც მოხდა განმეორებითი დანაშაულის ჩადენა, ეს არის 6 პროცენტი. 8 200 ადამიანი აგრძელებდა ჩვეულებრივად ცხოვრებას". ფაქტ-მეტრის მიერ მოპოვებული ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, ამნისტიის ძალაში შესვლიდან 2014 წლის ნოემბრამდე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან, ჯამში, 8 743 ადამიანი გათავისუფლდა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული პირებიდან 2013 წელს 523-მა, ხოლო 2014 წელს 423-მა განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა. 2013 წელს ამნისტირებული პირების მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის პროცენტული მაჩვენებელი 6%-ს, ხოლო 2014 წელს 4.8%-ს შეადგენდა.

ორგანიზაციამ, ასევე, გამოიკვლია, რამდენად მოქმედებს ამნისტირებულთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაული კრიმინოგენური ვითარების ერთიან სტატისტიკაზე. როგორც ბოლო მონაცემების ანალიზის შედეგად ირკვევა, ამნისტირებულთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის პროცენტული მაჩვენებელი ერთიანი დანაშაულის სტატისტიკაში 2%-ს არ აღემატება. შესაბამისად, ფაქტ–მეტრმა დაასკვნა, რომ ეკა ბესელიას განცხადება **სიმართლეა.**

გასულ კვირას ფაქტ–მეტრმა ჯანდაცვის მინისტრის, **დავით სერგეენკოს** განცხადებაც გადაამოწმა. მინისტრის განცხადების თანახმად, საქართველოში დინამიკა შეიცვალა და ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი შემცირდა. Unicef-ის მიერ ჩატარებული ბავშვთა სიღარიბის კვლევის თანახმად, საქართველოში ბავშვთა სიღარიბე კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. 2013 წლის მონაცემებით, ბავშვთა სიღარიბე 25%-დან 27%-მდე გაიზარდა. თუმცა, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობა შემცირდა. მინისტრმა თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ ბავშვთა სიღარიბის დინამიკა 2013 წელს შემცირებისკენ შეიცვალა. Unicef ბავშვთა სიღარიბის კვლევას ორ წელიწადში ერთხელ ატარებს. წინა კვლევის თანახმად, 2011 წელს შემცირდა, როგორც ბავშვთა ფარდობითი სიღარიბე, ასევე, უკიდურესი სიღარიბეც. შესაბამისად, 2013 წელს ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლის დინამიკა არათუ შემცირებისკენ, არამედ ზრდისკენ არის შეცვლილი. ხოლო ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის შემცირების ტენდენცია 2013 წელსაც გაგრძელდა.

მინისტრმა თავის განცხადებაში ასევე აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნებში ბავშვთა სიღარიბე იზრდება. ევროკავშირში ბავშვებში სიღარიბის რისკის მაჩვენებელი 2009 წლიდან 2012 წლის ჩათვლით იზრდებოდა, 2013 წელს კი ეს მაჩვენებელი მცირედით შემცირდა. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვთა სიღარიბე მართლაც გაზრდილია, თუმცა, მათ უმრავლესობაში სიღარიბის რისკის წინაშე მყოფი ბავშვების რაოდენობა მცირდება. ამასთან, ევროპის ქვეყნების სიღარიბის მაჩვენებლის საქართველოსთან შედარება არარელევანტურია, რადგანაც ევროპის ქვეყნებში საშუალო მოხმარება გაცილებით მაღალია ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. შესაბამისად, დავით სერგეენკოს განცხადება **მეტწილად მცდარად** შეფასდა.

ფაქტ–მეტრმა კიდევ ერთი მინისტრის, **დავით შავლიაშვილის** განცხადებაც გადაამოწმა. ინფრასტრუქტურის მინისტრის თქმით, "სამინისტროს ბიუჯეტის 10 თვის ათვისება 630 მილიონზე მეტია. ეს არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბოლო 7 წლის განმავლობაში".

სახელმწიფო ხაზინის ოფიციალური მონაცემებით, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტის 10 თვის შესრულება, დაახლოებით, 630.9 მლნ ლარია, რაც წლიური გეგმის 72%-ს შეადგენს. 2011 წელს ეს მაჩვენებელი 632.9 მლნ ლარს შეადგენდა, რაც წლიური ბიუჯეტის 74% იყო. შესაბამისად, 2014 წლის ათი თვის ათვისების მაჩვენებელი არ არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, როგორც ამას მინისტრი მიუთითებდა. ასევე, მოსალოდნელია, რომ სამინისტრო წლის ბოლომდე ბიუჯეტს სრულად ვერ აითვისებს. ფაქტ–მეტრის დასკვნით, დავით შავლიაშვილის ეს განცხადება **ნახევრად სიმართლეა.**

# გამგებელი გამოძიების დასრულებას ელოდება

ჟანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**რამდენიმე დღის წინ, ტაქსის მძღოლი გ.ლ. რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისხიდში ცხოვრობს, შსს გურიის სამხარეო პოლიციამ დააკავა. საქმე ეხება ტაქსის მძღოლის მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის, საქმის გაკეთების სანაცვლოდ, ქრთამის მიცემას.**

როგორც " გურია ნიუსს" რამდენიმე ტაქსის მძღოლმა განუცხადა, გ.ლ-ს შვილი ფოთში, დაცვის პოლიციაში მუშაობს. მას უნდოდა, რომ მისი შვილი ფოთიდან ოზურგეთის დაცვის პოლიციაში გადმოეყვანა და ამას გამგებელს სთხოვდა.

*"მისი შვილი ფოთში, დაცვის პოლიციაში მუშაობს, მას უნდოდა, რომ ფოთიდან ოზურგეთის დაცვის პოლიციაში გადმოეყვანა. მას ამის სანაცვლოდ გამგებლის სახლში დალუქული კონვერტით ფული დაუტოვებია",* _ ამბობენ ტაქსის მძღოლები "გურია ნიუსთან".

"გურია ნიუსის" წყაროს ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისში, ინფრასტრუქტურის სამინისტროში იმყოფებოდა.

*_ როცა სახლში დაბრუნებულა, დალუქული კონვერტი დედას გადაუცია, ვილაცამ დატოვაო. როგორც კი მერაბ ჭანუყვაძეს ეს გაუხსნია და უნახავს, რომ 100 ლარი იდო, მაშინვე უცნობებია პოლიციისთვის,* _ ამბობს წყარო.

" გურია ნიუსის" ინფორმაციით, ტაქსის მძღოლი დაკავებულია და მას უკვე შეფარდებულიც აქვს სასჯელი _ 6-თვიანი პატიმრობა, ერთწლიანი პირობითი სასჯელი და 3 წლით გამასწორებელი სამუშაოები.

რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი ჩვენთან საუბარში ვარაუდობენ: *"აღნიშნული ფაქტი მიანიშნებს, რომ გამგებელს "უჩალიჩებდნენ" ცუდ საქმეს და ამ ფაქტის უკან "ვიღაცა" დგას."*

აღნიშნულ ფაქტზე კომენტარისთვის ჩვენ დავუკავშირდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მერაბ ჭანუყვაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ საქმეზე დაწყებულია გამოძიება და, უმჯობესია, მივმართოთ შსს-ს.

შსს პრესსამსახურში აცხადებენ, რომ აღნიშნულ საქმეზე 339-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებულია სისხლის სამართლის საქმე, პიროვნება კი დაკავებულია.

P.S მერაბ ჭანუყვაძემ ამ თემაზე G-News TV-ის ყოველკვირეულ გადაცემა "კვირის თემაში" ისაუბრა და აღნიშნა, რომ დეტალებზე გამოძიების დასრულების შემდეგ გააკეთებს კომენტარს. კითხვაზე _ დგას თუ არა ვინმე ამის უკან და ხომ არ უკავშირებს მომხდარს გურიის ყოფილ გუბერნატორთან გიორგი ჩხაიძესთან მეგობრობას, აღნიშნა, რომ ჩხაიძესთან ურთიერთობას ამ საქმესთან კავშირი არ აქვს და დანარჩენი უკვე გამოძიების დასადგენია.

**გადაცემის ნახვა შეგიძლიათ "გურია ნიუსის" ვებ გვერდზე www.gurianews.com.**

# რვასულიან ოჯახს ხანძარმა საცხოვრებელი სახლი სულ გაუნადგურა

ჟანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**3 დეკემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევში, დოლიძეების ოჯახს ხანძარი გაუჩნდა და რვასულიანი ოჯახი, მათ შორის, სამი მცირეწლოვანი ბავშვი, ამ ზამთარში ღია ცის ქვეშ დარჩა. ვაჟა დოლიძეს ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი სულ გაუნადგურდა, დაზარალებულმა ოჯახმა ერთი ნივთის გადარჩენაც კი ვერ შეძლო.**



**ვაჟა დოლიძის საცხოვრებელი სახლი ხანძრის შემდეგ** | ფოტო: ჟანა მეგრელიშვილი

ოჯახის წევრის, რუსუდან ზაქარაძის თქმით, ადგილზე დაგვიანებით მივიდა ქალაქ ოზურგეთის სახანძრო-სამაშველო სამსახური.

**რუსუდან ზაქარაძე:** "*3 დეკემბერი იყო, ბათუმში მივდიოდით მე, ბავშვები და ჩემი მამამთილი. გზაში დაგვირეკეს, ხანძარი გაჩნდაო. როცა დავბრუნდით, ყველაფერი დამწვარი იყო, ვერაფრის გადარჩენა ვერ მოვახერხეთ. მაცივრის გარდა არაფერი არ გვქონდა ჩართული, სახლში ბებია იყო შესული. ღუმელიც კი არ ენთო. არ ვიცი, რატომ ამბობენ, საკვამურიდან გაჩნდა ცეცხლიო. ვის აწყობდა ასეთი ჭორის გავრცელება, გაკვირვებულები ვართ, რადგან ცეცხლი არ ენთო. არავისთვის მიგვიმართავს, არც გამოძიება დაწყებულა. როგორც მე ვიცი, არავინ იძიებს. ალბათ, მაგიტომაც გავრცელდა ეს ინფორმაცია, რომ არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარიყო. იქნებ, ძაბვის ბრალი იყო, დენი მოვარდა? არაფერი ვიცით. იმ დღეს იყო პოლიცია მოსული, მერე არ გამოჩენილან. ოზურგეთის გამგებელიც მოვიდა, ამაღამ სადმე თუ გაათევთ, ხვალიდან მოგხედავთო, _ გვითხრა. მეზობლებმა უთხრეს, რომ მათთან დავრჩებოდით. ორი დღე მეზობლებთან ვიყავით, მერე სხვა მეზობელმა შეგვიფარა, ახლა კიდევ სხვაგან ვცხოვრობთ 8 სულიანი ოჯახი _ 3 მცირეწლოვანი შვილით, უფროსი პირველ კლასშია, უმცროსი წლის და ოთხი თვისაა*", _ ამბობს რუსუდან ზაქარაძე და აღნიშნავს, რომ ხელისუფლების იმედი აქვს, რომ აუცილებლად დაეხმარება.

_ *დაგვიბარა გამგებელმა ოზურგეთში. გვითხრა, ახლა ერთჯერადად დაგეხმარებით, ამ ეტაპზე სხვა დახმარება არ შეგვიძლია, როცა ახალი ბიუჯეტი დამტკიცდება, ცოტ-ცოტას ყველაფრით დაგეხმარებით, მოგცემთ საშენ მასალასო. რა ვიცი, რა გითხრათ, წინასწარ ხომ არ დავიწყებთ იმის საუბარს, არ გვეხმარებიანო, დაგვპირდნენ და იმედი გვაქვს, რომ ამ ზამთარში ჩემი პატარები ქუჩაში არ დარჩებიან. ოჯახში მხოლოდ მე ვმუშაობ. მასწავლებელი ვარ, დავდივარ სხვა სოფელში, 140 ლარი მაქვს ხელფასი. ოჯახში გვყავს პენსიონერი ბებია, 85 წლის _ ესაა ჩვენი შემოსავალი.*

*თხილს ვინახავდით ზამთრის სარჩოდ, 700 კილო თხილი გვქონდა შენახული, სულ დაგვეწვა. ცოტა მანდარინი გადაგვირჩა, რაც ფარეხში გვქონდა. ტანსაცმელი, რაც გვეცვა, ის დაგვრჩა. ახლა ტანსაცმელს ბავშვებისთვის ახლობლები გვაძლევენ".*

რუსუდან ზაქარაძემ სახანძრო სამსახურის დაგვიანებაზეც ისაუბრა:

*"მე არ ვიყავი ხანძრის დროს, მაგრამ მეზობლების თქმით, ერთი საათი დააგვიანდა ოზურგეთის სახანძრო სამსახურს მოსვლა. ჯერ სანამ 112-ს დაუკავშირდნენ, მერე სანამ 112-მა შეატყობინა მათ, მერე სანამ სახანძრომ მოაგნო, სად იყო ნაღობილევი. წყალიც არ ჰქონდათ, თურმე, იღვრებოდა გზაში, მწყობრში არ ჰყავთ მანქანები, მერე მეზობელი წავიდა გზაზე შესახვედრად"*, _ აღნიშნა დაზარალებულმა "გურია ნიუსთან".

**ქალაქ ოზურგეთის მერიის მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ზედამხედველობის სპეციალისტი ანზორ მალაზონია** "გურია ნიუსთან" სახანძრო სამსახურის დაგვიანებას უარყოფს.

_ "*ეს არის ტყუილი, ახლავე შეგიძლიათ ნახოთ, რომ წყალი ახლაც არის მანქანაში, შეტყობინებაც დროულად მოვიდა. შეტყობინება შემოსულია 14 საათსა და 23 წუთზე, ზუსტად 24 წუთზე მანქანა გასული იყო, მეორე მანქანაც გავიდა 14 საათსა და 37 წუთზე, მანქანები მწყობრშია, მიუხედავად იმისა, რომ ძველია.*

*რა იყო ხანძრის გამომწვევი მიზეზი, ამის მოკვლევას პოლიცია აწარმოებს. სახლი მთლიანად განადგურდა, ჩვენ ვერაფრის გადარჩენა ვერ მოვახერხეთ",* _ გვითხრა ქალაქ ოზურგეთის მერიის მუნიციპალიტეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ზედამხედველობის სპეციალისტმა ანზორ მალაზონიამ.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე** "გურია ნიუსთან" აღნიშნავს, რომ დაზარალებულ ოჯახს გამგეობა ყველანაირ საჭირო დახმარებას გაუწევს.

_ "*დაზარალებული ოჯახი პირადად მოვინახულე. ჩვენ შევთანხმდით იმაზე, თუ რა სახის დახმარებას გავუწევთ მათ. პირადად გამგებლის სარეზერვო ფონდიდან მოხდება აღნიშნული ოჯახისთვის ერთჯერადად 500 ლარით დაფინანსება. ახალი წლიდან კი ყველა საშენი მასალით დავეხმარებით",* _ ამბობს "გურია ნიუსთან" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

# მარტოხელა პენსიონერი ხელისუფლებას: "არჩევნებში ხმა იმიტომ მოგეცი, რომ არ დამხმარებოდი?"

ჟანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**ქალაქ ოზურგეთში, ჭავაჭავაძის ქ. #4-ში მცხოვრები მარტოხელა პენსიონერი მზია ჟორჟიკაშვილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზაშია რეგისტრირებული. მან შეშით უზრუნველყოფის თხოვნით ქალაქ ოზურგეთის მერიას მიმართა. თუმცა, როგორც ქალბატონი მზია "გურია ნიუსთან" ამბობს, ქალაქის მერიამ მას დახმარებაზე უარი უთხრა.**



**მზია ჟორჟიკაშვილი** | ფოტო: ჟანა მეგრელიშვილი

მზია ჟორჟიკაშვილი, "გურია ნიუსმა" იმ დროს დააფიქსირა, როცა გასათბობად "პიწკებს" ქუჩაში ეძებდა. მან დახმარება გვთხოვა.

_"*64 წლის ვარ. არ ვიცი, ამ ზამთარში რა მეშველება. არ მაქვს შეშა. ვიყავი შეხვედრაზე ქალაქის მერთან, შევეხვეწე, შევევედრე, დამეხმარეთ ზამთარში-მეთქი, არაო. მითხრა, სოციალური დახმარება გაქვს შენ, მაშინ მაგას მოგიხსნი და წელიწადში ერთხელ ერთჯერადად დაგეხმარები 100 ლარითო. შევეხვეწე, 50 ლარი მაინც არ გაქვს, შეშა რომ ვიყიდო,-მეთქი? _ არაო, მითხრა. მარტოხელა პენსიონერი ვარ. ხშირად ავად ვარ, დიაბეტი მაქვს, მოციმციმე არითმია და წნევა მაწუხებს, პენსია წამლებში არ მყოფნის. ახალი ხელისუფლება სულ არ მეხმარება, ასე ვეძებ "პიწკებს" ქუჩა-ქუჩა, ხან მეზობლები მაძლევენ და ვარ ასე გაჭირვებით. არანაირი საშუალება არ მაქვს, სოციალური დახმარება 60 ლარი მაქვს, ისიც წინასწარ მაქვს აღებული, არჩევნებში ხომ მივეცი ხმა? მე ვუთხარი მერს პირდაპირ _ რატომ მოგეცი ხმა, თუ არ დამეხმარებით ამის მეტად-მეთქი. ამიტომ მივეცი ხმა? სოციალურ სამსახურში მაქვს განცხადება დაწერილი კიდევ, მაგრამ არავინ მეხმარება. ასე ვწვალობ, ჩოხატაურში ნათესავთან ვიყავი 10 დღე, შეშა რომ არ მაქვს დავდივარ ნათესავთან. იქ ყველას დაურიგეს შეშა და ფულადი დახმარება, აქ რა ჭირთ, არ ვიცი!*

*უფასო სასადილოში დავდივარ. გაჭირვებული რომ არ ვიყო, პური და საჭმელი რომ მქონდეს, იქ ვივლიდი? ასე დახმარების იმედზე დადგა ჩემი ცხოვრება!"* _ გვითხრა მზია ჟორჟიკაშვილმა.

ქალაქ **ოზურგეთის მერიაში** აღნიშნულთან დაკავშირებით ასეთ კომენტარს აკეთებენ:

_ *ჩვენ უყურადღებოდ არავის ვტოვებთ. ვისმენთ ყველა მოქალაქის გასაჭირსა თუ თხოვნას და შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, დახმარება აღმოვუჩინოთ მათ. დიდი ხანი არ არის, რაც ქ. ოზურგეთი თვითმმართველ ქალაქად ჩამოყალიბდა და, შესაბამისად, რაც ქალაქის მერია არსებობს. წარმოუდგენელია ამ დროში იმ რესურსით, რაც ჩვენ დაგვხვდა, ყველა ადამიანისთვის შესაბამისი დახმარება გაგვეწია. თითოეული მოქალაქე ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ადამიანები, რომლებიც მიღებაზე დადიან, განცხადებებს ტოვებენ, მონაცემთა ბაზაში შეყვანილი გვყავს კატეგორიების მიხედვით. შესაბამისი სამსახურების მიერ ხდება აღნიშნული მონაცემების შესწავლა და ანალიზი. რაც შეეხება ქალბატონ მზია ჟორჟიკაშვილის მოთხოვნას, რომელმაც მოგვმართა ფულადი დახმარების თხოვნით, ვინაიდან ის სოციალური სუბსიდიების სააგენტოდან იღებს ფულად დახმარებას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური პროგრამულად ვერ დააკმაყოფილებდა. საშეშე მერქნით კი ქალაქის მერია შეძლებისდაგვარად დაეხმარება სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანებს. ჩვენ ქალბატონი მზია შეყვანილი გვყავს მონაცემთა ბაზაში და უახლოეს პერიოდში მოხდება მისი დაკმაყოფილება.*

გაზეთი უკვე მზად იყო გამოსაცემად, როცა შევიტყვეთ, რომ ქალაქ ოზურგეთის მერიამ ქალბატონი მზია ჟორჟიკაშვილის თხოვნა დააკმაყოფილა და სამერქნე შეშით დაეხმარა.

# რა პროგრამები დაფინანსდება შშმ პირთათვის 2015 წლის ბიუჯეტიდან

გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი



**გურიის არცერთ მუნიციპალიტეტში 2015 წლის მთავარი დოკუმენტი ჯერ არ დამტკიცებულა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ მომავალ წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კონკრეტული თანხა არის გამოყოფილი.**

**სანამ ამ თანხის რაოდენობას შევიტყობთ, მანამ "გურია ნიუსმა", ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენიმე რესპონდენტი ჩაწერა.**

ოზურგეთელი **თამუნა ლურსმანაშვილი** ამბობს, რომ მას 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია და ახლა აპირებს გაეცნოს წლის მთავარ დოკუმენტს.

_ *შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გურიის სარეაბილიტაციო ცენტრის 18 წლამდე ბენეფიციარები ფინანსდებიან ადგილობრივი ბიუჯეტიდან და აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, რომ მხოლოდ ამ ასაკამდე არ მოხდეს დაფინანსება. ასევე, არ ხდება შშმ პირების სასწავლო გადამზადება და შემდეგ დასაქმება. იშვიათად ნახავთ შშმ პირს, რომელიც დასაქმებულია. მე აუცილებლად ვაპირებ ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივ ხელისუფლებასთან საუბარს. ასევე, ჩვენთან არ არის ადაპტირებული გარემო და ამას სერიოზულად უნდა მიექცეს ყურადღება,* _ გვითხრა თამუნა ლურსმანაშვილმა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ***მარი ნუცუბიძე*** ამბობს, რომ ზუსტად არ აქვს ინფორმაცია, თუ რა თანხა არის გამოყოფილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

_ *"კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" დახმარებით რვა თვეა, რაც აქტიურად ჩავები საზოგადოებრივ საქმიანობებში. სამწუხაროდ, არ ვყოფილვარ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაზე. როგორც ვიცი, შშმ პირთათვის, დაახლოებით, 6000 ლარი არის გამოყოფილი,* _ თქვა მარი ნუცუბიძემ.

ჩოხატაურელი **ნინო ლომთათიძე** 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას დაესწრო.

_ *საერთოდ მეორედ დავესწარი ბიუჯეტის პროექტის განხილვას და იმედია, რომ ჩემი შენიშვნა გათვალისწინებული იქნება. მე დავაყენე საკითხი, რომ ერთხელ და სამუდამო უნდა მოგვარდეს პანდუსების პრობლემა. ვნახოთ, რა იქნება გათვალისწინებული და როგორ მიუდგებიან ამ საკითხს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები,* _ ამბობს ნინო ლომთათიძე.

"გურია ნიუსმა" ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჩაწერა.

**დიმიტრი კვერღელიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:** _ *18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლების დადიან ოზურგეთს დღის ცენტრში, ფინანსდებიან ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ამისთვის გამოყოფილია 30 000 ათასი ლარი. 30 000 ლარში, ასევე, შედის მათი ორკვირიანი კურსები ურეკში. ეს თანხა დღის ცენტრმა მოითხოვა და აქედან გამომდინარე, ხდება კიდევაც დაფინანსება. ვიცი, რომ ეს თანხა არ არის საკმარისი, რადგან ადმინისტრაციულ და სხვა შენობებში აუცილებლად არის პანდუსების პრობლემა მოსაგვარებელი. კარგი იქნება, ამ საკითხით ბიზნეს-კომპანიები თუ დაინტერესდებიან, რადგან არც მაღაზიებში არის პანდუსები.*

**ქალაქ ოზურგეთის მერიის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსის თამარ დუმბაძის** ინფორმაციით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის ბიუჯეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარებისთვის გამოყოფილია შემდეგი თანხები: "*შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გურიის სარეაბილიტაციო ცენტრს" (18 წლის ზემოთ, 22 ბენეფიციარი) წლიური _ 51100 ლარი, რომელიც ყოველთვიურად, საშუალოდ, 4260 ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხა გამოიყენება ხელფასებზე, კომუნალურ ხარჯებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, მედიკამენტებზე, კვებაზე და სხვ.*

*მერია, ასევე, აფინანსებს უსინათლოებს (30 ბენეფიციარი). ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა– 4500 ლარი, რომელიც წელიწადში ერთხელ 150 ლარით დახმარებას ითვალისწინებს.*

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის, გელა ლომინეიშვილის** თქმით, 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში შშმ პირებისთვის განკუთვნილია 40 000 ლარი.

_ **5 000 ათასი ლარი განკუთვნილია სამედიცინო მომსახურებისთვის, 25 000 ათასი გამოყოფილია ყოველთვიური დახმარებისთვის, რომელიც წლის განმავლობაში ნაწილდება 70 ბავშვზე. კვებისთვის და კომუნალური მომსახურებისთვის კი 10 000 ლარია განკუთვნილი,** _ გვითხრა გელა ლომინეიშვილმა.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარმა ფინანსისტმა როლანდ ლაშხიამ** კი ჩვენთან სატელეფონო საუბრის დროს თქვა, რომ ამ ეტაპზე ზუსტი თანხა არ არის ცნობილი და ამ საკითხთან დაკავშირებით მოგვიანებით მოგვაწვდის ინფორმაციას.

# დეპუტატების უმრავლესობამ "გამოთანაბრებითი ტრანსფერის" მნიშვნელობა არ იცის

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

**15 დეკემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს განიხილავდნენ. მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსმა, გელა ლომინეიშვილმა დეპუტატებს ადგილობრივი შემოსავლების და ხარჯების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მისივე თქმით, ჩოხატაურის 2015 წლის ბიუჯეტი 4 მილიონ 865 00 არის განსზღვრული. ამ თანხაში შედის გამოთანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერი.**



**ჩოხატაურის საკრებულოს სხდომაზე** | ფოტო: დავით ჩხიკვაძე

საკითხს დეპუტატები დიდად არ დაუინტერესებია, რადგან, როგორც ითქვა, კომისიებზე განიხილეს. დააზუსტეს მხოლოდ ის, გაითვალისწინა თუ არა გამგეობამ საკრებულოს მიერ გამოთქმული 30 შენიშვნა.

ლომინეიშვილის განმარტებით, გამგეობამ თითქმის ყველა შენიშვნა გაითვალისწინა, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, რომელი და ეს არც დეპუტატებს მოუთხოვიათ. ხალხის რჩეული დეპუტატები არ დაინტერესებულან 4 მილიონ 865 00 ლარიდან რამდენია გამოთანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერი. როგორც "გურია ნიუსმა" გაარკვია, ეს ციფრი, ჯამში, 3 მილიონ მილიონ 313 400 ლარია. აქედან, გამოთანაბრებითი ტრანსფერი 3 მილიონ 130 400 ლარია, მიზნობრივი კი _ 83 ათასი ლარი.

"გურია ნიუსი" დაინტერესდა, იციან თუ არა დეპუტატებმა, რას ნიშნავს გამოთანაბრებითი ტრანსფერი და ამ შეკითხვით დეპუტატებს სხდომის დასრულების შემდეგ მიმართა:

**კობა კალანდაძე, სოფელ ხიდისთავის დამოუკიდებელი დეპუტატი:** *არა, ნამდვილად არ ვიცი.*

**მაია გიორგაძე, "კოალიცია ქართული ოცნების" სიით გასული დეპუტატი:** *კაით რა, არ გინდათ ეს შეკითხვები.*

**ლაშა თოლორდავა, კოალიცია "ქართული ოცნების" დეპუტატი სოფელ გუთურიდან:** *არ ვიცი.*

**გოჩა თოდრია, "კოალიცია ქართული ოცნების" დეპუტატი სოფელ ხევში**: *არ ვიცი.*

**აკაკი ყაჭეიშვილი, დამოუკიდებელი დეპუტატი სოფელ გოგოლესუბნის თემში:** *არ ვიცი.*

**ირაკლი ახობაძე, კოალიცია "ქართული ოცნების" სიით გასული დეპუტატი:** *ფინანსურად სუსტი მუნიციპალიტეტები, რომლებიც საკუთარი შემოსავლებით ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებას, ცენტრალური ბიუჯეტიდან იღებენ ფინანსურ დახმარებას. ეს არის გამოთანაბრებითი ტრანსფერი. როგორც ვიცი, ორი მუნიციპალიტეტია საქართველოში, რომელიც გამოთანაბრებით ტრანსფერს არ იღებს, ბოლნისი და თუ არ ვცდები, ბორჯომი.*

**გოდერძი გოგიშვილი "პატრიოტთა ალიანსის" სიით გასული დეპუტატი**: "*არ ვიცი ნამდვილად. ისე, თქვენ გაზეთი ხართ და მასეთ შეკითხვებს კი არ უნდა სვამდეთ, უცხო სიტყვებს რომ ნახავთ, იმის განმარტება უნდა გააკეთოთ. ჩვენ წავიკითხავთ და გვეცოდინება".*

აღსანიშნავია, რომ ამ მოკლე ინტერვიუების ჩაწერის დროს, დეპუტატების დიდმა ნაწილმა სხდომათა დარბაზი დატოვა. უფრო მეტიც, რამდენიმე მათგანმა შენობაც კი დატოვა, სავარაუდოდ, იმ მიზეზით, რომ ეს შეკითხვა მათთვის არ დაგვესვა.

რაც შეეხება გამოთანაბრებით ტრანსფერს _ **გამოთანაბრებითი ტრანსფერი ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" კანონით განსაზღვრული ფორმულით, ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრებია, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.**

დეპუტატებისთვის, რომელთა ერთ-ერთი პრეროგატივა და ვალდებულება ბიუჯეტის დამტკიცებაა, იმასაც განვმარტავთ, გამოთანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №936 ( 2008 წლის 22 დეკემბერი) ბრძანების საფუძველზე ხდება.

გამოთანაბრებითი ტრანსფერი გაიანგარიშება "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით დამტკიცებული ფორმულის მიხედვით.

**აქვე დაინტერესებული პირებისთვის მიზნობრივ ტრანსფერსაც გავმარტავთ _ მიზნობრივი ტრანსფერი ნიშნავს დელეგირებულ უფლებამოსილებათა გასახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრებს.**

ეს ყველაფერი ერთად და უფრო კონკრეტულად კი გარკვევით წერია საქართველოს კანონში "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ", რომლის წაკითხვა დეპუტატებს ნამდვილად არ აწყენდათ.

# ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი მიღებულია

პარლამენტმა 82 ხმით 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი 12 დეკემბერს დაამტკიცა, რომლის შემოსავლებიც 8.09 მლრდ ლარს, ხოლო ხარჯები 8 მლრდ ლარს შეადგენს. ორივე ეს მაჩვენებელი აღემატება 2014 წლის ბიუჯეტის ანალოგიურ მონაცემებს _ წელს შემოსავლების სახით 7.319 მლრდ ლარის მობილიზებაა დაგეგმილი, ხოლო ხარჯების პროგნოზი 7.539 მლრდ ლარს შეადგენს.

მთავრობა მომავალი წლისთვის კვალავაც 5%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს. მთლიან შიდა პროდუქტის (მშპ) 5%-იანი ზრდაა დაგეგმილი 2014 წელსაც _ წინასწარი მონაცემებით, პირველი ათი თვის განმავლობაში, ეკონომიკის 5.6%-იანი ზრდა ფიქსირდება.

ამასთან, მომავალ წელს, როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ბიუჯეტის წარდგენის დროს დეპუტატებს განუცხადა, სახელმწიფო ვალი მშპ-სთან მიმართებაში 37.2%-ზე დაფიქსირდება. მისი თქმით, მომავალ წელს სახელმწიფო ვალის სახით 720 მლნ ლარს აიღებს, ხოლო 754 მლნ ლარს გაისტუმრებს.

მომავალი წლის ბიუჯეტში მთავრობა საგადასახადო შემოსავლების სახით 7.6 მლრდ ლარს გეგმავს, რაც 780 მლნ ლარით აღემატება 2014 წელს დაგეგმილ საგადასახადო შემოსავლებს.

2015 წელს გრანტების მოცულობა 215 მლნ ლარამდე იზრდება წელს დაგეგმილი 144 მლნ ლარიდან, ხოლო "სხვა შემოსავლები" 275 მლნ ლარამდე იკლებს წლევანდელ 355 მლნ ლართან შედარებით.

ბიუჯეტის პირველ პროექტთან შედარებით _ 35 მლნ, ხოლო მეორე პროექტთან შედარებით 10 მლნ ლარით არის გაზრდილი ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება და მომავალ წელს 2.785 მლრდ ლარს შეადგენს, რაც უპრეცედენტოდ მაღალი ოდენობაა. ამ თანხების ლომის წილი _ 2.041 მლრდ ლარი, სოციალურ დაცვასა და საპენსიო უზრუნველყოფაზე მოდის. 2015 წლის 1 სექტემბრიდან ყველა კატეგორიის ასაკით პენსიონერს 10 ლარით გაეზრდება 160 ლარამდე პენსია, რასაც 30 მლნ ლარი დასჭირდება.

ბიუჯეტის პროექტის წინამორბედ ვერსიასთან შედარებით, საბოლოო პროექტში ასევე 23.7 მლნ ლარით გაზრდილია და 638.7 მლნ ლარს შეადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება.

ბიუჯეტის დამტკიცებული პროექტის თანახმად, სამინისტროებს შორის თანხები შემდეგნაირად გადანაწილდება: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო _ 2.785 მლრდ ლარი (2014 წელს _ 2.658 მლრდ ლარი); თავდაცვის სამინისტრო _ 640 მლნ ლარი (2014 წელი _ დაფინანსების თავდაპირველი გეგმა, რაც 660 მლნ ლარს შეადგენდა, შემცირდა 615.9 მლნ ლარამდე, რადგან სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ "დელტას" დაფინანსება გადატანილია ეკონომიკის სამინისტროში, ხოლო ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი გამოეყო თავდაცვის სამინისტროს და ცალკე მხარჯავ დაწესებულებად ჩამოყალიბდა; 2013 წელი _ თავიდან დაგეგმილი იყო 660 მლნ ლარი, თუმცა ფაქტობრივად დაიხარჯა 610.4 მლნ ლარი; 2012 წელი _ 730.6 მლნ ლარი; 2011 წელი _ 711 მლნ ლარი); შინაგან საქმეთა სამინისტრო _ 638.7 მლნ ლარი (2014 წელი _ 600 მლნ; 2013 წელი _ 570 მლნ ლარი); რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო _ 1 მლრდ ლარი (2014 წელი _ 875 მლნ ლარი); განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო _ 853.9 მლნ ლარი (2014 წელი _ 754.3 მლნ ლარი); სოფლის მეურნეობის სამინისტრო _ 292.9 მლნ ლარი (2014 წელი _ 263.5 მლნ ლარი); ფინანსთა სამინისტრო _ 100 მლნ ლარი (2014 წელი _ 96 მლნ ლარი); ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო _ 120 მლნ ლარი (2014 წელი _ თავდაპირველად დაგეგმილი იყო 87 მლნ ლარი, თუმცა ეს გეგმა გაიზარდა 131 მლნ ლარამდე "დელტას" დაფინანსების გამო); ენერგეტიკის სამინისტრო _ 125 მლნ ლარი (2014 წელი _ 114.6 მლნ ლარი); იუსტიციის სამინისტრო _ 68.5 მლნ ლარი (2014 წელი _ 60.5 მლნ ლარი);სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო _ 155 მლნ ლარი (2014 წელი _ 154 მლნ ლარი); საგარეო საქმეთა სამინისტრო _ 100 მლნ ლარი (2014 წელი _ 90 მლნ ლარი); კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო _ 95 მლნ ლარი (2014 წელი _ 80 მლნ ლარი); სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო _ 70 მლნ ლარი (2014 წელი _ 53.9 მლნ ლარი); გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო _ 39 მლნ ლარი (2014 წელი _ 31 მლნ ლარი); ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო _ 70 მლნ ლარი (2014 წელი _ 48 მლნ ლარი); შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი _ 1.35 მლნ ლარი (2014 წელი _ 1.35 მლნ ლარი); ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი _ 3.1 მლნ ლარი (2014 წელი _ 2.8 მლნ ლარი); დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი _ 1.2 მლნ ლარი (2014 წელი _ 900 ათასი ლარი).

მომავალ წელს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები 60.5 მლნ ლარით დაფინანსდებიან, რაც წლევანდელთან შედარებით მილიონიანი ზრდაა და უკავშირდება ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსების მატებას.

თავდაპირველ პროექტში დაგეგმილი იყო მთავრობის სარეზერვო ფონდის 70 მლნ ლარამდე გაზრდა, თუმცა ეს მაჩვენებელი, საბოლოო ვარიანტის თანახმად, კვალავ 50 მლნ ლარიან ნიშნულზე რჩება, 2014 წლის მსგავსად. ასევე უცვლელია პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსება და ის 5 მლნ ლარს შეადგენს.

ამ ფონდებისაგან განსხვავებით, გაზრდილ დაფინანსებას მიიღებენ მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები, შესაბამისად 32.5 მლნ ლარის და 9.8 მლნ ლარის ოდენობით. 2014 წელს მთავრობის ადმინისტრაცია 20 მლნ ლარით, ხოლო პრეზიდენტის _ 9 მლნ ლარით ფინანსდება. პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსების 800 ათასი ლარით გაზრდა ბიუჯეტის საბოლოოდ გადამუშავებულ პროექტში აისახა.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე გასაცემი ტრანსფერების საერთო რაოდენობა, პირვანდელ პროექტთან შედარებით, 4 მლნ ლარით გაიზარდა და მომავალ წელს 854 მლნ ლარს შეადგენს _ ეს მონაცემი წელს 795.9 მლნ ლარია.

სახალხო დამცველის აპარატი მომავალ წელს 4 მლნ ლარით დაფინანსდება, წელს გათვალისწინებული 2.3 მლნ ლარის ნაცვლად.

გაზრდილ დაფინანსებას მიიღებს ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, რომლის ბიუჯეტიც 1.45 მლნ ლარს მიაღწევს წლევანდელი 600 ათასი ლარიდან. ბიუჯეტის საბოლოო პროექტში, წინა ვერსიასთან შედარებით, ამ უწყებას მომავალი წლისთვის დამატებით 250 ათასი ლარი გამოეყო მას შემდეგ, რაც ფარულ მოსმენებთან დაკავშირებული ახალი რეგულაციებით ინსპექტორის ფუნქციები გაიზარდა.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, ასევე, გაეზრდება დაფინანსება 40.8 მლნ ლარამდე წელს არსებული 38 მლნ ლარიდან.

მომავალ, არასაარჩევნო წელს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება წლევანდელთან შედარებით თითქმის 2.5-ჯერ შემცირდება და 22.5 მლნ ლარს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს საპატრიარქოს მომავალ წელსაც 25 მლნ ლარით დააფინანსებს.

თებერვალში შექმნილი რელიგიის საკითხთა სააგენტო, რომელიც დამატებით ოთხი რელიგიური კონფესიის დაფინანსების საკითხებს კურირებს, მომავალ წელს 4.2 მლნ ლარს მიიღებს.

ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს "ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატებმა, რომელთა თქმითაც, ეს არ არის ბიუჯეტი, რომელიც ქვეყანაში ინვესტიციებს მოიზიდავს და სამუშაო ადგილებს შექმნის. მათივე თქმით, ბიუჯეტი იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ის "განწირულია შეუსრულებლობისათვის".

ბიუჯეტს მხარი არც თავისუფალმა დემოკრატებმა არ დაუჭირეს, რომლებიც ცოტა ხნის წინ გამოეყვნენ "ქართული ოცნების" მმართველ კოალიციას. თავისუფალი დემოკრატების პარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ირაკლი ჩიქოვანმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური ძალა, რომელიც უკვე აღარ არის წარმოდგენილი მთავრობაში და შესაბამის ბერკეტებს აღარ ფლობს, პასუხისმგებლობას ვერ აიღებს ბიუჯეტის შესრულებაზე.

Civil.ge

დამკრძალავი ბიურო მოგემსახურებათ სრული სერვისით_ მაცივარი, სასახლე, მიცვალებულის გაპატიოსნება, საჭიროების შემთხვევაში, ქირურგიული ჩარევა, ტრანსპორტირება.
ჩოხატაური, ტელ: (593) 531391, (599) 784506.
ამირან ჭეიშვილი.

დაგიმზადებთ მეტალოპლასტმასის და ალუმინის კარ-ფანჯრებს, ჟალუზებს, ვიტრაჟებს, მინას, მინა პაკეტს, მწერებისგან დამცავ ბადეებს. ვაკეთებთ განვადებასაც.
(558) 775513, (551) 769067.
სოსო.

ვიბარებ ღორებს, გოჭებს, ბურვაკებს უმაღლეს ფასებში.
ტელ: (595) 242327, (599) 384084.

## იყიდება!

სახლი, დაბა ჩოხატაურში, ცენტრთან ახლოს, მისასვლელი ქუჩა ასფალტირებულია, სახლში შეყვანილი გაზით, წყალი ჭიშკრამდე მიყვანილი. 3200 კვმ. ეზოთი, მდინარესთან ახლოს, თხმელის ტყითა და მსხმოიარე თხილებით გაშენებული. ფასი შეთანხნებით.
ტელ: (599) 374715, (593) 415147.

---

სასწრაფოდ, ჩოხატაურში, სოფ. ზემოსურებში, ერთ ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი, საკუთარი ტყით, გაშენებული ხეხილითა და თხილით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (595) 500040.

---

2-სართულიანი, კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილებით, ვენახით გაშენებული ეზოთი. ბუნებრივი აირით. ჩოხატაური, სოფ. ახალშენი, ტელ: (591) 287441.

---

1000 კვმ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სახლის ფუნდამენტი ჩასხმულია, კაპიტალური ღობით.
ჩოხატაური, ყოფილი # 2 ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე, ტელ: (599) 538615, (595) 418215.

---

ჩოხატაურის ცენტრში, ეკლესიის წინ, 2000 კვმ. მიწის ნაკვეთი, შემოღობილი, ყველა სახის ხილის და თხილის ნარგავებით, წყლისა და გაზის შეყვანის პერსპექტივით.
ტელ: (558) 444503.

---

ჩოხატაურის ცენტრში, 2-ოთახიანი გარემონტებული ბინა ავეჯით.
ტელ: (558) 444503.

---

სახლი, ხეხილიანი ეზოთი.
ჩოხატაური, სოფ. ქვემოერკეთი, ტელ: (598) 720042, (551) 183482.

---

2-სართულიანი სახლი, სველი წერტილებით, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთით, დამხმარე ნაგებობებით, ვენახით, თხილებით გაშენებული ეზოთი, მთის მუდმივი წყლით, ჭით, 4000 კვმ. სამოსახლო მიწის ნაკვეთით. შეიძლება, გაიყიდოს ნაწილ-ნაწილადაც.
ჩოხატაური, სოფ. შუა ფარცხმა.
ტელ: (599) 328153, (593) 175812.
ლილი.

---

სასწრაფოდ, ჩოხატაურის ცენტრში, კომერციული ფართი.
ტელ: (593) 269346.

## უფასო განცხადებები

ქ. ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში, კაპიტალური სახლი.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: (598) 284418.

---

სასწრაფოდ, 6 ჰა მიწის ნაკვეთი, შეღობილი. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 067400.

---

ჩოხატაურში, დუმბაძის 25-ში, პირველი სართული (ყოფილი სტამბა).
ტელ: (593) 757254.

---

1500 კვმ. მიწის ნაკვეთი, დარეგისტრირებული როგორც სამოსახლო ისე კომერციული საქმიანობისთვის. ეზოში შეყვანილია ბუნებრივი აირი.
ჩოხატაური, სოფ. ხიდისთავი.
ტელ: (593) 614111, (599) 218849.

---

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი".
ტელ: (577) 782882.

---

ავტომანქანა "გაზ 66".
ჩოხატაური, სოფ. ამაღლება.
ტელ: (557) 033020, (595) 455039.

---

ავტომანქანა "უაზი".
ტელ: (577) 782882.

---

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტის" ძრავი, საუკეთესო მდგომარეობაში, დიზელზე, დიფერი, საბარგული, "სიდენიები".
ტელ: (558) 447300.

---

ავტომანქანა "გაზ 52", კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (593) 567446.

---

ავტომანქანა "ფოლკსვაგენ ჯეტა", დიზელზე, 1.6 ძრავით, კარგ მდგომარეობაში. 6 თვის მაკე ძროხა, 10 ლიტრი წველადობით.
ტელ: (593) 297686, (595) 449286.

---

კარგი ხარისხის ღვინო "ცოლიკაური".
ტელ: (593) 743218.

---

ცოლიკაურის, ჩხავერის, საფერავის, ციცქას, ხარისთვალას ნერგები.
ტელ: (599) 287073.

---

კარგი ჯიშის 2,5 წლის, 2 თვის, მაკე უშობელი.
ჩოხატაური, სოფ. გუთური.
ტელ: (790) 559186, (557) 560726.

---

მამალი ცხენი, გამოწმენდილი, 8 წლის, თვითმცლელი ურიკით, სახნავითა და ფაცხით.
ტელ: (551) 230960, (579) 230960, (790) 565551.

---

ღვინო "ცოლიკაური", 230 ლიტრი.
ტელ: (597) 917122, (555) 170699.

---

ღვინო "ცოლიკაური", 2 წლის დაძველების.
ტელ: (555) 553737, (790) 553707.

---

3 წლის საქონელი, საკლავად და 5 თვის მაკე საქონელი.
ტელ: (557) 100056.

---

კარგი ჯიშის 2 წლის დეკეული და მოზვერი 160 კგ-იანი.
ტელ: (555) 350189, 9790) 950189.

---

კარგი ჯიშის, 5 თვის მაკე დეკეული.
ტელ: (558) 560305.

---

სამი სული ხბომოსაყვანი დეკეული.
ტელ: (551) 008195, ნარგიზ თედორაძე.

---

კივის ნერგები. ტელ: (555) 405535.

## ქირავდება!

ჩოხატაურის ცენტრში, ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, 2-სართულიანი საერთო საცხოვრებლის პირველ სართულზე, 2-ოთახიანი ბინა.
ტელ: (599) 304065.

---

თბილისში, თავისუფლების მოედანთან, 1-ოთახიანი ბინა, მე-3 სართულზე, იტალიურ ეზოში.
ტელ: (593) 247975, (790) 202754.

## შევიძენ!

მეორად შიფერს ან თუნუქს, ნაძვის ხის ხმელ ბალკებს, 2 ცალს, 3 მ-იანებს. 50 ცალ მეორად ბლოკს.
ტელ: (593) 112008.

## ყურადღება!

ვანი-სამების ტერიტორიაზე დამეკარგა ტახი ღორი, ჭრელი, 60 კგ-მდე, უკუდო. მპოვნელი დასაჩუქრდება. ტელ: (593) 517838.

### უფასო განცხადების ტალონი

**№100**

------------------------------------------------

------------------------------------------------

ტელეფონი: ------------------------------------------------

**ცრემლმოუშუშებელი მოსაგონარი ჩემს ერთადერთ ძამიკოს**
**ნიკა გიორგაძეს!**



ჩემო ძამი, რა უცებ გავიდა ორმოცი დღე. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი უდროოდ წასვლა ამქვეყნიდან. შენ ხომ მოუშუშებელი ტკივილი ხარ ჩვენთვის და განსაკუთრებით, ჩვენი მშობლებისათვის. შენი ადამიანობა და კაცური კაცის სახელი ყველას ემახსოვრება, ჩემო კეთილო ძამიკო. შენი ნაკვალევი არსად არ წაიშლება. როგორ გიხაროდა სიცოცხლე. სიკეთეს თესავდი, გაჭირვებულს ხელს უწვდიდი და გზაზე აყენებდი. ძალიან მენატრები, თურმე ყველაზე ძნელი მონატრება ყოფილა. ყველგან შენ დაგეძებ, ჩამახუტა შენს გულში. იძინე ტკბილად, ძამი. ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ვილოცებთ შენთვის.

*შენი გულდამწვარი დაიკო მაკა*

---

და ტატიანა, დისშვილები გური, ნანი (ნაზიკო), გულნაზი, გულიკო, ლეილა, დარიკო, ეთერი ოჯახებით იუწყებიან

**მარგალიტა კეკელიძე-გარუჩავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს, ახლობლებს.

---

ზაურ თოდრაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოლეგ შათირიშვილის ოჯახს ქალბატონი

**თალიკოს**

გარდაცვალების გამო.

---

ზაურ თოდრაძე ოჯახით თანაუგრძნობს დარეჯან, თამაზ სიხარულიძეებს

**სოსოს**

გარდაცვალების გამო.

---

**გელა დუმბაძის ოჯახს!**

ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას საყვარელი შვილის

**მაიას**

გარდაცვალების გამო. ღმერთმა მოგცეთ მოთმინება და გამძლეობა.

*ნანი, ზაურ ანთიძეების ოჯახი ხევიდან*

---



მურად დოლიძე ოჯახით იუწყება რძლის

**მაია დუმბაძე-დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.

---

**ნონა სიხარულიძე**



გავიდა ტკივილით და სევდიანი მოგონებებით სავსე ერთი წელი შენი გარდაცვალებიდან. ჩვენო ნონა, შენ ყველას სიხარულით ხარობდი, გასაჭირს იზიარებდი, უყურადღებოდ არავის დატოვებდი. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. შენ იყავი ნიჭიერი მასწავლებელი, მრავალი ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი.

*რძალი ლამარა და ძმისშვილები*

---



დები ლილი, ნათელა, ძმები ალიოშა, ვაჟა, რძლები ლიანა ბერაია, თინა გიორგაძე, დისშვილები რეზო, ბადრი, რაჟდენი, ზაზა, თამილა, მარინა, ძმისშვილები გოჩა, ლალი, ლეილა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ტატიანა პაიჭაძე-პავლიაშვილის**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 18 XII,14 საათზე.

ჩოხატაური, ალმაშენებლის ქ.#45.

---



სერგო კოტრიკაძის ოჯახი დიდი გულისტკივილით იუწყება

**მალხაზ გურგენიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს და ახლობლებს.

---



ცისანა ოსეფაიშვილი, ლუიზა თავბერიძე, მზია მგალობლიშვილი, გულნაზ თოდრია, თინა წილოსანი ოჯახებით თანაუგრძნობენ იზოლდა კალანდაძეს დედის

**თინას**

გარდაცვალების გამო.

---



გურამ, გიორგი, ნინო, თენგიზ დოლიძეები ოჯახებით იუწყებიან

**გენო მიხეილის ძე დოლიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

---

ელიოტ ხაბეიშვილი ოჯახით იუწყება

**გენო დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

დათო კეკელიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს დარეჯან მგალობლიშვილის ოჯახს

**ელენეს**

გარდაცვალების გამო.

---

**რაინდი (ბუხუტი) ალექსანდრეს ძე სიხარულიძე**



2008 წლის 21 დეკემბერს, კვირას, სუსხიანი დილის 10 საათზე შეწყდა შენი ბობოქარი სიცოცხლე. დრომ ვერ გაანელა წამება სულისა. მტკივა უშენობა, ვერაფერს გშველი, იმედო ჩემო.

იმ დღესაც იყო კვირა
და ჰქროდა ცივი ქარი,
სიკვდილმა მოულოდნელად
ჩამოკრა გლოვის ზარი.
აღარ მესმის შენი სუნთქვა,
არ ბობოქრობს სიცოცხლე,
შენთან მინდა, რომ მოვიდე,
მენატრები იცოდე.
მეც მოკვდავი ვარ,
ვერაფერს შევცვლი,
უფალმა იესომ ასე ინება,
რთული, ტკივილიანი დაბადებაა,
ულმობელია და შემზარავი
გარდაცვალება.

მოდის უფლის შობა და ახალი წელი. გილოცავ ცათა სასუფეველში, იმედო ჩემო.

*მეუღლე ნორა დევიძე-სიხარულიძე, შვილები მაია, მაგდა, შვილიშვილები სოფო, საბა, სიძეები ირაკლი, ალეკო*

---



გია კალანდაძისა და ოლივერ კუტუბიძის ოჯახები თანაუგრძნობენ მზია, ანზორ სალიების დიდ ოჯახს, დედამთილისა და დედის

**მირცა ლომთათიძე-სალიას**

გარდაცვალების გამო.

---

კახა, კობა რამიშვილები ოჯახებით იუწყებიან საუკეთესო ქალბატონის

**ელენე მგალობლიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---



თეიმურაზ გიორგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ხათუნა, ილო კვინტრაძეებს დისა და ცოლისდის

**მაიკოს**

გარდაცვალების გამო.

---

თინა, ლეილა ლომთათიძეები ღრმა გულისტკივილს გამოთქვამენ ქალბატონი

**მირცა სალიას**

გარდაცვალების გამო.

---



მარინა მგალობლიშვილი, გელა, სოფო კალანდაძეები იუწყებიან უსაყვარლესი ბებიის

**ელენე მგალობლიშვილის**

გარდაცვალებას.

---

**გოგი ანთიძეს!**



ჩვიდმეტ დეკემბერს ორმოცდაშვიდი წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ მან ცხოვრების შუადღესაც ვერ მიაღწია. მშობლებს, დებს, სიძეებს, მეგობრებს, ახლობლებს დიდი სატანჯველი დაუტოვა ულმერთო სიკვდილმა. უდროო წავიდა ჩვენგან, დაგვრჩა ნათელი მოგონება, კეთილი ღიმილი და კაცური სახელი.

*ამხანაგები*

---



მიშა უნგიაძე ოჯახით იუწყება

**გენო დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---



იანეულის საჯარო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან

**თინა შარაშიძე-კალანდაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.

---



ბადრი დოლიძე, დემურ გიორგაძე ოჯახებით იუწყებიან შესანიშნავი პიროვნების

**გენო დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის შვილებსა და ახლობლებს.

---



ვან-ზომლეთის საჯარო სკოლის 1995 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის

**მაია დუმბაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---



მიხეილ ჩხიკვაძე შვილებით, გულისტკივილით იუწყება ძირძველი მეზობლის, სანიმუშო შვილების აღმზრდელის

**თინა შარაშიძე-კალანდაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს, უახლოესებს.

---



ძმისშვილი ლამარა კეკელიძე ოჯახით იუწყება მამიდას

**მარგალიტა კეკელიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, დედმამიშვილებს, ყველა ახლობელს.

---



შვილები მიხეილი, მაია, და ლამარა, რძალი ჟანა, სიძეები ვეფხვია, სოსო, დისშვილი ნატო, შვილიშვილები გოგა, მარი, ოთარი, ქრისტინა, გიორგი, ბიცოლა როზა, ბიძაშვილები, დეიდაშვილი, დისშვილიშვილები იუწყებიან

**გენო მიხეილის ძე დოლიძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 17 XII.

დაკრძალვა: 18 XII, 15 საათზე.

ჩოხატაური, სოფელი დაბლაციხე.

---



ნესტან ძნელაძე, შოთა ჩანტლაძე, თედო ტრაპაიძე, დათო გაფრინდაშვილი, დათო კალანდაძე თანაუგრძნობენ ქეთინო, ამირან, გიორგი კაკურიებს სიძის

**შოთა ღაღაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ჭიჭიკო უჯმაჯურიძე, აბელ მახარაძე ოჯახებით იუწყებიან

**ელენე ბერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ტარიელ თოდრია ოჯახით იუწყება

**ელენე ბერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ომარ დოლიძის ოჯახი იუწყება

**ზური გოგოლაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

---

ომარ, ლალი დოლიძეები სამძიმარს უცხადებენ გია დოლიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

---



ზოია ჭიხვარია, საშა ჭონიშვილი ოჯახით თანაუგრძნობენ ამირან და ქეთინო კაკურიებს საყვარელი სიძის

**შოთა ღაღაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა თანაუგრძნობს IV კლასის მოსწავლე ლიკა დოლიძეს დედის

**მაია დუმბაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ **"გურია ნიუსის"** რედაქცია თანაუგრძნობს ოჯახებს და ახლობლებს **ტატიანა პაიჭაძე-პავლიაშვილის, გენო მიხეილის ძე დოლიძის** გარდაცვალების გამო.

გურია NEWS

## უფასო განცხადებები

### იყიდება!

შეშა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 153869, (597) 045405.

---

სხვადასხვა ზომის მეორადი მინები, ფანჯრები (113/104 და 120/88-ზე), ორფრთიანი კარი, ჩარჩოს გარეშე (225/100-ზე).
ტელ: (574) 086078.

---

რუსული წარმოების ახალი ელექტრო ძრავი, 15,5 კვტ-იანი, 970 ბრუნით.
ჩოხატაური, დოლიძის 10.
ტელ: (599) 166389.

---

სამზარეულოს მაგიდა, ახალი, 6-ადგილიანი, 140/ 90-ზე. ტელ: (551) 093080.

---

ნაძვის ნედლი მასალა, 10 კვმ. ფასი შეთანხმებით. ტელ: (577) 957903.

---

ჩოხატაურში, ცენტრალური გზის პირას (ვარლამის წისქვილთან), 2500 კვმ. შემოღობილი საყანე ფართობი.
ტელ: (790) 581140.

---

პიანინო "საქართველო", კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (595) 536794.

---

4 ცალი, 500-ლიტრიანი მუხის კასრი. უჟანგი მასალისგან დამზადებული სამი _ 300-ლიტრიანი, ერთი _ 2-ტონიანი კასრები და საწნახელი. აკაციის ბოძები 3,5 მ-იანი. ღვინო "ცოლიკაური" (ფეთქი) და ჭაჭის არაყი. ნაძვის ხმელი მასალა, იატაკის და ჭერის, 6 კბმ. იაპონური წარმოების, ფაზანოლიანი, 1 კვტ-იანი გენერატორი, ახალი. არმატურა, 10 ცალი, 28-იანი, 10 მ-იანები. ცომის საზელი 2 ჩანი, ელექტრო ძრავი, სხვადასხვა ბრუნვისა და კვტ-იანი. 100 მ. 20-იანი და 50 მ. 32-იანი მილები.
ტელ: (551) 328714.

---

სასიმინდე, რკინის კარკასი, ალუმინის სახურავი, უჟანგი მასალის კედლებით.
ტელ: (551) 005826.

---

ტაროს საფქვავი წისქვილი.
ტელ: (568) 013939.

---

აკაციის და ბამბუკის მესერი 1,55/1,60-ზე. კივის 3-წლიანი ნერგები.
ტელ: (593) 263738.

---

რუსული ბილიარდი. T-სებრი შველერი. წყლის გამაცხელებელი, დენის, 100 ლიტრიანი. ტელ: 222 367.

---

ჩეხური წარმოების გაზის გამათბობელი "კარმა", საუკეთესო მდგომარეობაში.
ტელ: (557) 900225, (593) 309320.

---

ცილინდრული ფორმის უჟანგი ავზი, 1.2 ტონა ტევადობის, კედლის სისქე 8 მმ.
ტელ: (551) 505883.

---

წაბლის ხის მასალა სხვადასხვა ზომის ავეჯისთვის.
ტელ: (599) 639939.

---

შეშა. გოჭები. დივან-სავარძლები.
ტელ: (593) 254528.

---

ნაძვის მასალისგან ნაშენი სათავსო 4/6-ზე, თუნუქის სახურავით. რკინის ("ბურაოს") მილები 70მმ/10მ. ოთკუთხა რკინის ბოძები 4/120-ზე. რელსები 8მ/120მმ-ზე.
ტელ: (595) 973199, (577) 213549.

---

ერთი მანქანა შეშა, საღუმელედ დახერხილი.
ტელ: (593) 187258.

---

საღუმელედ და დამუშავებული წიფელას და რცხილას შეშა. ადგილზე მიტანით.
ტელ: (591) 614416.

---

საკერავი მანქანა. ავერლოკი.
ტელ: (555) 625864.

---

ცემენტის ბოძები.
ტელ: (557) 171851.

---

"ლისტვენიცის" კარი, 4 ცალი, ახალი. 3 ცალი ცაცხვის ხის კარი და მეორადი თაღი.
ტელ: (558) 910346.

---

არყის სახდელის (ორეს), სპილენძის მილი.
ტელ: (555) 553737, (790) 553707.

---

რცხილას შეშა.
ჩოხატაური, სოფ. გოგოლესუბანი, ტელ: (577) 770168.

---

რცხილას და თხმელას შეშა. ტყავის ბრეზენტი 12მ X3მ.
ტელ: (577) 235416.

---

სასიმინდე, ეკინის კარკასი, ალუმინის სახურავით და უჟანგი თუნუქის კედლებით. ტელ: (551) 005826.

---

2 კბმ. წაბლის სხვადასხვა ზომის ხმელი მასალა.
ტელ: (568) 880511, გურამი.

# წლის რჩეული ავტომობილი



BMW i8 ძვირი ელექტრომობილია, უფრო სწორედ, პლაგ-ინ ჰიბრიდული სუპერ ავტომობილი, რომელიც სიძვირის მიუხედავად, იმდენად პოპულარულია, რომ ბავარიული კომპანია მისი წარმოების გაზრდას აპირებს. პარალელურად, i8-ს აღიარებაც არ აკლია. ახლახანს ის წლის საუკეთესო ავტომობილად, ბრიტანულმა ჟურნალმა და გადაცემა "ტოპ გიარმა" დაასახელა. ბავარიულმა სუპერ ჰიბრიდმა ამ აღიარების მისაღებად, ძლიერი კონკურენტების ძლევამ მოუწია, თუმცა ტერნერი ამბობს, რომ ჟიურის ყველა წევრმა საკუთარ რჩეულად სწორედ ის დაასახელა.

BMW i8 კარბონის ბოჭკოსა და ალუმინისგან დამზადებულ მონოკოკურ შასიზეა ბაზირებული. მის ჰიბრიდულ სისტემაში, 1.5-ლიტრიანი სამცილინდრიანი ტურბო ძრავი და ელექტრო ძრავი შედის. პირველი უკან განლაგდა, მეორე კი – წინ. შიდაწვის ძრავი 231 ცხენის ძალას და 320 ნიუტონმეტრს იძლევა, ელექტრული კი – 131 ცხენის ძალას და 250 ნიუტონმეტრს. პირველს 6-საფეხურიანი ავტომატური ტრანსმისია უკავშირდება, მეორეს კი _ ორსაფეხურიანი ავტომატური. ამასთან, ელექტრო ძრავს ენერგიით 7.1 კილოვატსაათი ტევადობის ელემენტების ბლოკი ამარაგებს.

ამ აღჭურვილობით, ავტომობილს ადგილიდან ასამდე ასაჩქარებლად, 4.4 წამი ჰყოფნის, მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ია. ასეთი მახასიათებლების მქონე ავტომობილი ას კილომეტრზე მხოლოდ 2.1 ლიტრ ბენზინს მოიხმარს. ელემენტების ბლოკში დაგროვილი ენერგია საკმარისია იმისათვის, რომ i8-მ, დაახლოებით, 37 კილომეტრის გავლა შეძლოს. კომბინირებულ რეჟიმში კი (როცა ელექტრო ენერგიას შიდაწვის ძრავთან დაკავშირებული გენერატორი გამოიმუშავებს) სვლის სიშორე 500 კილომეტრს აღწევს. დაკიდევ, ყოველი კილომეტრის გავლისას, ავტომობილი ატმოსფეროში მხოლოდ 49 გრამ ნახშირორჟანგს გამოჰყოფს.

# თემურ ქეცბაიას წლის გუნდი




uefa.com-მა რედაქტორის სვეტში შემოგვთავაზა 2014 წლის სიმბოლური ნაკრები, რომელიც თემურ ქეცბაიამ შეარჩია. საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი თითოეულ ფეხბურთელზე განმარტებებს წერს. "ჩემს გუნდში ფეხბურთელთა უმრავლესობა გერმანიის ნაკრებიდანაა, რადგან ამ გუნდმა მუნდიალზე დიდებულად ითამაშა.

**მეკარე**

**მანუელ ნოიერი:** გაუშვა მხოლოდ 4 გოლი მუნდიალის 7 მატჩში და ის ძლიერია თავის გუნდშიც. ნოიერი რომ საუკეთესო მეკარეა, ამის ბევრი მიზეზი არსებობს.

**მცველები**

**დავიდ ალაბა:** ახალგაზრდა ავსტრიელი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პროგრესირებადი მცველია. მან "ბაიერნში" შესანიშნავად ითამაშა, ეს კი ძალიან ძნელია ამ გუნდში.

**მატს ჰუმელსი:** მიუხედავად იმისა, რომ "დორტმუნდი" არასტაბილურია, ჰუმელსი ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია. მისი გოლები პორტუგალიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**ვენსან კომპანი:** ის, რომ ბოლოს ბელგიის ნაკრები ანგარიშგასაწევი ძალაა, კომპანის დიდი დამსახურებაა.

**ფილიპ ლამი:** უნივერსალური ფეხბურთელი, გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი. 2014 წელი მისთვის ფანტასტიკური იყო და ვალმოხდილი წავიდა სანაკრებო ასპარეზიდან

**ნახევარმცველები**

**ტონი კროოსი:** ის ბრწყინვალე იყო მუნდიალზე და სოლიდურად ჩაჯდა "რეალის" სქემაში. ცივსისხლიანი კარგი მეპასე და დამრტყმელია.

**პოლ პოგბა:** ჩემი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი. ძალიან მომწონდა მისი თამაში საფრანგეთის ნაკრებში. ვხედავ მის დიდ პოტენციალს.

**არიენ რობენი:** ძალიან რთული ჯგუფიდან გავიდა ჰოლანდიის ნაკრები. რობენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. დიდებული დრიბლიორი და ლიდერია.

**თავდამსხმელები**

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი:** თანამედროვე ფეხბურთის ერთი მშვენებაა ზლატან იბრაჰიმოვიჩი. მისგან გოლს ნებისმიერი პოზიციიდან უნდა ველოდოთ.

**ლიონელ მესი და კრიშტიანო რონალდო:** მათ უამრავი ფანი ჰყავთ მთელ მსოფლიოში. ეს კი ძალიან ბევრზე მეტყველებს. მათ ლამის ყოველ მატჩში გააქვთ გოლი. ჩემი აზრით, ისინი ერთმანეთისთვის დიდ მოტივაციას წარმოადგენენ.

*sportall.ge*

# რონალდოდან რონალდომდე

BBC-ის ჯილდო, რომელიც წლის სპორტსმენს გადაეცემა, ამჯერად კრიშტიანო რონალდომ მოიპოვა. პორტუგალიელი 21-ე საუკუნეში გახდა რონალდოს (2002 წელს) მერე მეორე ფეხბურთელი, რომელსაც ეს აღიარება ხვდა წილად. "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილ თავდამსხმელს მადრიდის "რეალის" რიგებში 267 მატჩში 281 გოლი აქვს გატანილი. მან "სამეფო გუნდის" მაისურით 27 ჰეთ-თრიქი შეასრულა. რონალდომ წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირობა 17 ბურთით მოიპოვა, რითაც ლიონელ მესის და ჟოზე ალტაფინის რეკორდი გააუმჯობესა, რომლებსაც ერთ სეზონში 14 გოლი ჰქონდათ გატანილი. "დიდი მადლობა ბი-ბი-სი-ს და ჩემს ძველ ფანებს ინგლისში. ძალიან დიდი მადლობა" - თქვა 29 წლის რონალდომ. პორტუგალიელმა ამ ჯილდოსთვის ბრძოლაში ჩოგბურთელ სერენა უილიამსს, მოტომრბოლელ მარკ მარკესსა და მოკრივე ფლოიდ მეივეზერს აჯობა. ბოლო წლებში ამ ჯილდოს ძირითადად უსეინ ბოლტი ან ჩოგბურთელები იგებდნენ.




## ამინდის პროგნოზი გურიაში




მარიამ თოდრია, 6 წლის




ელენე დვალიშვილი, 9 წლის




ლიზი სხიაშვილი, 11 წლის




ლიზი სხიაშვილი, 11 წლის

## ვალუტის კურსი

| 1 GEL | კურსი |
|---|---|
| USD | 1.8593 |
| EUR | 2.3235 |
| GBP | 2.9197 |
| RUB | 0.0318 |



## მილოცვები

### ქვირფას რუსუდან (ანასტასია) კალანდაძეს



ქართულ არხზე ვნახე დიდი ქართველი რეჟისორის, ბატონი რევაზ ჩხეიძის თქვენდამი მილოცვა, როცა ის გადმოგცემთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად არჩევის დიპლომს. დიდი სიყვარულით გილოცავთ. კიდევ ბევრი წარმატება მოგველოცოს.

*ანა ერისთავი,*
*საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,*
*რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსი*

### ჩვენს მოუსვენარ, ენერგიულ ნატო გოგელიას!

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, უამრავ სიხარულს, ბედნიერებას და წინსვლას ცხოვრებაში, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

*სიყვარულით, "ნიუსელები"*

### გილოცავთ!



გურგენ ლომჯარია 75 წლის გახდა! ოზურგეთში, სოფელ ჭანიეთში გაზრდილს ძველებურად მხნე, სანდომიანი იერი გაქვს, ჩვენო მეგობარო! არ გვენანება თბილი სიტყვები შენთვის _ კეთილი, ადამიანის მოყვარული, ლხინსა და ჭირში გვერდში ამომდგომი _ აი, ასეთს გიცნობთ. დასანანია შენი მეუღლის, იშვიათი ქალბატონის, დარო ბერიშვილის ნაადრევი წასვლა წუთისოფლიდან. გაცილებით ბედნიერი იქნებოდი დღეს მის გვერდით, თუმცა, ჭირსაც გაუმკლავდი და შვილებს _ ნიკას და ინგას და ხუთ შვილიშვილს გვერდში უდგახარ, დაროს ხსოვნის პატივსაცემად ყველაფერს აკეთებ. გვსურს, დიდხანს სიცოცხლე, ყველაფერი საუკეთესო გისურვოთ, ჩვენო გურგენ!

სიყვარულით გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, მრავალჟამიერ!

*მეგობრები*

### ვარდიკო თოდრიას!



გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებებს ცხოვრებაში. ღმერთი ჰფარავდეს შენს ოჯახს.

*ია, ვარდო, მერი*

ჩვენს საყვარელ შვილებს

### თია სიხარულიძეს, დათო გუგეშაშვილს!

ვულოცავთ 17 წლის ნანატრი ვაჟიშვილის დაბადებას. უფლის წყალობა და შემწეობა არ მოჰკლებოდეს ჩვენს სანუკვარ შვილიშვილს. ჯანმრთელობა, სულგრძელობა, დღეგრძელობა, ჩვენო ანდრია. გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი.

*რობერტი და ქეთინო*

## მადლობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის "ცივისუბნის" მცხოვრებლები მადლობას ვუხდით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **ირაკლი კუჭავას,** შპს "გზამშენი 18-ის" გენერალურ დირექტორს ბატონ **თეიმურაზ ჯახვას,** მთავარ ინჟინერს **ვახტანგ ჭანტურიას**, სამუშაოთა მწარმოებელს **ომარ მამალაძეს**, მშენებლებს _ **მურმან, გია, დემურ, გოჩა** მამალაძეებს, **გოდერძი ანთიძეს**, **პოლიო კიკვაძეს,** რომლებმაც ჩოხატაური-ბახმაროს გზის მე-13 კილომეტრზე აგვიშენეს მგზავრთა ხარისხიანი, ლამაზი, კაპიტალური მოსაცდელი. კიდევ და კიდევ დიდი მადლობა მათ. ღმერთი გფარავდეთ.

*ხეველი "ცივისუბნელები"*

ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებლებს, საბჭოთა მმართველობიდან მოყოლებული, არ გვინახავს ის ხიდი განათებული, რომელიც ჩვენს ქუჩას დანარჩენ ქალაქთან აკავშირებს. დღეს ეს ხიდი განათებულია. მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალაქ ოზურგეთის მერს, ბატონ **ბეგი სიორიძეს**, რომ მან ჩვენთან შეხვედრაზე მოსულმა, გაითვალისწინა თხოვნა და დღეს, საღამოობით სახლში დაბრუნებულებს აღარ გვიწევს მხოლოდ ინტუიციის იმედად, ჩაბნელებულ ხიდზე გავლა. არ გვაქვს განცდა იმისა, რომ ვიღაც ბნელი ღამით ისარგებლებს და სახლში მშვიდობიანად ვერ დავბრუნდებით (ამის პრეცედენტი ხშირი იყო ამ ხიდზე). მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას ყურადღებისთვის.

**უმაღლესი ხარისხის ფოტოების ბეჭდვა**

უახლესი ციფრული ტექნოლოგიით შეგვიძლია, გადაგიღოთ, დაგისკანეროთ, აღგიდგინოთ და ამოგიბეჭდოთ უმაღლესი ხარისხის ფოტოსურათები.

*ჩოხატაური, დუმბაძის 25,*
*გაზეთ "გურია ნიუსის" ჩოხატაურის ოფისი,*
*I სართული, საკანცელარიო მაღაზია*

№ 11
დეკემბერი
2014 წელი

# კარმიდამო ჩემი

გამოდის
თვეში ერთხელ
www.gurianews.com

კარმიდამო ჩემი

**გილოცავთ
დამდეგ
ახალ წელს!**



# გურული პერსონაჟები
## ახალ წელს ელოდებიან

**ჩვენს ქვეყანაში ხალხური რეწვის უამრავ ოსტატს თუ დიდოსტატს შეხვდებით. ამიტომ, არ გვიკვირს ნიჭიერთა მრავლობა, მათი ხედვის არეალის, სივრცისა და განის უნიკალურობა. ყოველივე ამის მიუხედავად, ოზურგეთელი მერაბ ზაქარიაძე მაინც გამორჩეული ფენომენია _ პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1979 წელს დაამთავრა და არა ერთ თანამდებობაზე იმუშავა; დიდი იმპერიის დაშლის შემდეგ, როგორც ბევრი სხვა, ისიც უმუშევარი დარჩა. გამრჯე და ნიჭიერი კაცი, სამეურნეო საქმესთან ერთად, დროდადრო ახერხებდა და არაერთ დროებით საზოგადოებრივ სამუშაოზეც საქმდებოდა. ამავე პერიოდში დაინტერესდა ხალხური რეწვითაც.**

**როგორც თვითონ ამბობს, ხეზე კვეთისა და წვის იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მეზობელმა, ვლადიმერ სიხარულიძემ საკუთარი ხელით ნაკეთი კალმების ჩასალაგებელი აჩუქა.**

*_ ვიფიქრე, ნეტავ, არ გამომივა- მეთქი? სკოლა ისე დავამთავრე, ხატვა, ლექსის წერა და მსგავსი შემოქმედებითი მცდელობა არ მქონია. არც მეგონა, თუ შევძლებდი. არადა, ვცადე და გამომივიდა. ერთ-ერთი პირველი, რაც ხეზე წვით "ამოვასვირინგე" ჩემ მიერვე გაკეთებულ მაგიდაზე, ილიკოს, ილარიონის და ზურიკელას სახეებია _ ძალიან მიყვარს ეს ნამუშევარი. მას შემდეგ, ყოველ შობა-ახალ წელს, ამ სუფრაზე ვდებთ ხონჩას საახალწლო ტკბილეულით, სასმელით, ჩიჩილაკით,* _ გვეუბნება ბატონი მერაბი და გურული ოდა-სახლის მეორე სართულზე გვეპატიჟება, სადაც საკუთარი ხელით ნაკეთი ორიგინალური კარადა აქვს.

მეორე სართულზე ნანახი მოლოდინს აჭარბებს _ ჭერი და კედლები სხვადასხვა სახის ორნამენტებითაა მორთული. კარადისთვის კი, რომელიც საკუთარი ხელით გააკეთა, მხოლოდ მასალა იყიდა, რაც 120 ლარი დაუჯდა. მზა კარადა კი ბევრად უფრო ღირებულია, თუმცა, მერაბ ზაქარიაძეს საკუთარი ნაკეთობა არასდროს გაუყიდია _ მხოლოდ დასასაჩუქრებლად ვიმეტებდიო, _ ამბობს ზაქარიაძე.

სახლის პირველ სართულზე სხვადასხვა ნამუშევრებია გამოფენილი; ძირითადად, ხეზე წვის ხელოვნებით შესრულებული: "მძინარე ბიჭუნა", "სექტემბრის დილა", "ტურფავ, ტურფავ", "ვეფხვი", "მოლოდინი", "მირაჟი", "გოგონას პორტრეტი", "ტირიფი მთვარიან ღამით" და მრავალი სხვა.

სამზარეულში მრავლად აქვს საკუთარი ხელით ნაკეთი და მოჩუქურთმებული ფინჯნების ჩამოსაკიდი, ბრის დასადები, დანა-ჩანგლის ყუთი, პატარა სამზარეულო მაგიდა თავისი სკამებით. ტელევიზორის მაგიდა ორიგინალური ფეხითა და ზედაპირით.

მასპინძელს, მისაღები ოთახის ერთ კუთხეში, გარდაცვლილი დედის ნაქარგობების კუთხე აქვს მოწყობილი.

*_ დედა ძალიან კარგად ქსოვდა და ქარგავდა. ალბათ, რაღაც გენეტიკურია ჩემში, რამაც შედარებით გვიან გაიღვიძა. ამ ნამუშევრებს განსაკუთრებით ვუფრთხილდები. რაც დედა აღარ არის, ეს ნამუშევრები, თითქოს, მაახლოებს მასთან, სევდა და ტკივილი დიდია, თუმცა, რაღაც მემატება ამით, მგონი _ სიმხნევე, ასე დავარქმევდი...* _ სევდა აშკარად ემჩნევა ჩვენს მასპინძელს.

მერაბ ზაქარიაძე ამჯერად უმუშევარია. უხარია, რომ მისგან მეზობლების პატარა ბიჭები ხეზე წვის ხელოვნებას სწავლობენ. გარკვეული დროის მანძილზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში ასწავლიდა ხეზე წვის საქმეს. იმ პერიოდს განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს: _ *მერე იქ იაპონიის საელჩომ რემონტი ჩაატარა. გვითხრეს, რომ ცოტა ხნით შინ წამოვიდოდი და მერე დამიძახებდნენ. თუკი ვინმე ისევ მიმიწვევს, სიამოვნებით წავალ, რადგან მეც უდიდეს მუხტს მანიჭებდა ის სიხარული, რა განწყობითაც ის ბავშვები სწავლობდნენ ხეზე წვის ხელოვნებას,* _ ამბობს ბატონი მერაბი.

მერაბ ზაქარიაძე არაერთი მშვენიერი პოეტური სტრიქონის ავტორიცაა. ორიგინალურია მისი "მუხრანისებურად", სადაც ამბობს: *"უყვარდეთ თუნდაც მოყვასი ისე, ვით თავი თვისი, _ მართალი რომ ვთქვათ, _ ჩამოსათვლელნი არიან თითზე! ეგოისტები? უჰ, უჰ, უჰ _ ოხრად!"*

ჩვენი რესპონდენტის მხატვრული შემოქმედებაც საინტერესო და ვრცელია. სათქმელია ისიც, რომ თუ მერაბ ზაქარიაძეს პოპულარობა აკლია, ეს უსათუოდ მისივე მოკრძალებულობის ბრალია, რასაც იმით ხსნის, რომ მას სურს აკეთოს ისეთი საქმე, რაც თვითონ ანიჭებს ბედნიერებას, ასევე იმ ადამიანებსაც, ვისაც საკუთარ ნამუშევარს საჩუქრად უძღვნის.



**მერაბ ზაქარიაძის ნამუშევარი _ "ანგელოზები"**



**მერაბ ზაქარიაძე მის გაკეთებულ კარადასთან**



**ილიკო, ილარიონი და ზურიკელა** | ფოტოები: მარინე ჩიხლაძე

"კარმიდამო ჩემი"
_ თქვენ
სამსახურში!

ადამიანებს, რომელთა
ბიზნესიც ამ სფეროს ნაწილია,
შესაძლებლობა ეძლევათ,
მინიმალურ ფასად განათავსონ თავიანთი საქმიანობის რეკლამა _
მოსინჯეთ, დაინახავთ,
რომ თქვენი რეკლამის
განთავსება ორმხრივად
სასარგებლო იქნება.
რეკლამის ფასები და საჭირო
საკონტაქტო ინფორმაცია,
"კარმიდამო ჩემის"
მეოთხე გვერდის ბოლოსაა
გამოქვეყნებული.

საზოგადოების ნებისმიერ
წარმომადგენელს,
პოლიტიკურ თუ
საზოგადოებრივ ჯგუფს,
სპეციალისტს,
საჯარო მოხელეს,
ვისაც ესმის, რომ
სოფლის მეურნეობის
გადარჩენა და
განვითარება
სახელწიფოებრივი
მნიშვნელობის საქმეა,
ვთავაზობთ თანადგომას და
ჩვენი კარი ღიაა
თანამშრომლობისთვის.

შეგვეხმიანეთ, მოგვწერეთ,
დაგვირეკეთ, გვეწვიეთ
ოზურგეთის, ჩოხატაურის,
ლანჩხუთის,
თბილისის ოფისებში;
ჩვენი ოფისებისა და
ელ-ფოსტის მისამართების,
ტელეფონების
ნომრების გაცნობა
"გურია ნიუსის"
მეორე გვერდის
პირველივე სვეტშია
შესაძლებელი.

"კარმიდამო ჩემი"
თქვენს სამსახურშია!

ყოველი თვის
ბოლო კვირაში
"კარმიდამო ჩემი"
მკითხველს აუცილებლად
შეხვდება.

თქვენ განკარგულებაშია
"გურია ნიუსის"
მაღალრეიტინგული
ვებ-გვერდიც
www.gurianews.com
და მისი რუბრიკა ანალოგიური
სახელწოდებით
"კარმიდამო ჩემი".
აქ მასალების განთავსებით, თქვენს
საქმიანობას
მთელ მსოფლიოში გაიცნობენ!

**ჩვენი დევიზი
უცვლელია:
ერთად
გადავრჩეთ და
გავძლიერდეთ!**

ჩვენი რეცეპტი

# ინდაურის საცივი – საახალწლო სუფრის მშვენება

**ახალი წლის სუფრას ჩვენში, ძველთაგანვე ერთი უპირველესი კერძი, ინდაურის საცივი ამშვენებდა. საახალწლო ქართული სუფრა, განსაკუთრებით გურიაში, დღესაც იშვიათია ამ კერძის გარეშე. დღემდე პოპულარულია "მამაპაპური ჩადუღებული საცივი" (ასე მოიხსენიებენ გურიაში), რომლის მომზადების წესს ახლა შემოგთავაზებთ. საცივის მოსამზადებლად უმჯობესია დედალი ინდაურის ხორცი.**



**საჭირო მასალა:** კარგად გასუფთავებული ინდაური, ნახევარი კილოგრამი საუკეთესო ხარისხის ქართული ნიგოზი, ხუთი თავი საშუალო ზომის ხახვი, 5-6 ფოთოლი დაფნა, ორი სუფრის კოვზი ხმელი ქინძი, ორი სუფრის კოვზი უცხო სუნელი, ერთი სუფრის კოვზი ხმელი, დაფქული ზაფრანი, ამდენივე დაფქული წითელი წიწაკა, ერთი პატარა კონა ნედლი ქინძი, 3-4 კბილი ნიორი, მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ინდაური დავჭრათ ზომიერ ნაწილებად, დავფაროთ წყლით, დავამატოთ დაფნის ფოთლები და დავდგათ მოსახარშად. ძალიან არ ჩაგვეხარშოს. შემდეგ გადმოვიღებთ და დავალაგებთ ცალკე. თუ არ დაგვეზარება და აირღუმელში დაბალ ცეცხლზე ცოტათი შევბრაწავთ, კიდევ უფრო გემრიელი იქნება.

ნიგოზი გავატაროთ ხორცსაკეპში, რომელსაც ექნება სპეციალური წვრილი ბადე. გატარებულ მასას დავამატოთ ხმელი ქინძი, უცხო სუნელი, ზაფრანი, წიწაკა და ვსრისოთ. გამოვწუროთ ზეთი _ "ურწყული", ჩავასხათ ჭიქაში და დავდგათ ცალკე. შემდეგ დარჩენილ ნიგოზს თანდათან დავამატოთ გადანადუღები თბილი წყალი და მოვურიოთ. ასევე, სპეციალურ საცერზე დავდოთ წვრილ ბადეში გატარებული ნედლი ქინძი, ნიორი და ოდნავ წყალი დავუმატოთ, თან ავსრისოთ და დავამატოთ გამონაწური ნიგოზს. ყურადღებით ვიყოთ, ნედლმა ქინძმა სიმწვანე არ შემატოს საცივს _ მისი მხოლოდ გემო უნდა "გამოვაჩინოთ" საცივში. ასე მოვამზადოთ თხელი მასა. მომინანქრებულ ქვაბში კი ჩავასხათ ინდაურის ნახარშზე მორთმეული ცხიმი და მასში ჩავთუშოთ ძალიან თხელ და წვრილ ალყად დაჭრილი ხახვი ისე, რომ ჩადნეს, არათუ ჩაითუშოს. ჩავყაროთ შიგ ხორცი, მოვურიოთ რამდენჯერმე ფრთხილად და დავასხათ ჩვენ მიერ ნიგვზისგან მომზადებული თხელი მასა. მარილი ვუყოთ გემოვნებით. ვურიოთ ნელა და განუწყვეტლივ, რომ ფსკერზე არ მიიკრას. როცა კარგად გადმოდუღდება, მალევე გამოვრთოთ. ურწყულის ნაწილი მოვასხათ ქვაბშივე. შემდეგ კი _ სუფრაზე გატანის წინ.

***"კარმიდამო ჩემი"***

## ჩემო ძვირფასო ხალხო, საყვარელო გურულებო!






უკეთესი მომავლის იმედით გილოცავთ კარს მომდგარ ახალ წელს!

ღმერთმა დაგლოცოთ! ყველაფერ საუკეთესოს გისურვებთ! იმრავლეთ, იბედნიერეთ!

***ლელა ნაცვალაძე,***
***ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული***
***გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე***

## დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო გურულებო!





მუდამ გემღერებოდეთ და გიხაროდეთ! გულიდან მომდინარე მრავალჟამიერით გილოცავთ ყველას!

დღეგრძელი სიცოცხლე გქონოდეთ, გვიყვარხართ!

***შსს პოლიციის პენსიონერთა კავშირი "აბჯარის",***
***გურიის რეგიონული ორგანიზაცია***

## ყველას, განსაკუთრებით კი ოზურგეთელებს! უდიდესი სიყვარულითა და სიხარულით გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

გისურვებთ სისუფთავით, სიმდიდრით და ღიმილით სავსე იყოს
ჩვენი გულები, ჩვენი გურია, ჩვენი საქართველო!

მრავალჟამიერ!

***ააიპ ოზურგეთის სერვისცენტრი***





## ჩვენო საყვარელო გურულებო!

უსაზღვრო სიყვარულით გილოცავთ 2015 წლის შემობრძანებას!

მუდამ საახალწლო და საზეიმო განწყობა დაგებედოთ!

ქართულ ქვეყანას _ გამთლიანებას, ქართულ სოფელს კი აღორძინებას ვუსურვებ!

გამარჯვებებით გევლოთ, გფარავდეთ უფალი!

***გიორგი ჭყონია,***
***სოფლის მეურნეობის სამინისტროს***
***ოზურგეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი***

ჩვენი რჩევები

# იანვარი და მეურნე კაცი

**ზამთრის პერიოდში არანაკლები სამუშაო აქვს მეურნე კაცს, როგორც წელიწადის დანარჩენ დროს, _ გვეუბნება ცნობილი აგრონომი აკაკი ღლონტი. მისი განმარტებით, ზამთრის ნებისმიერი მზიანი თუ უბრალოდ, უნალექო დღე კარგმა მეურნემ სათავისოდ უნდა გამოიყენოს, რათა ადრიან გაზაფხულზე მოძალებული სამუშაოებისგან თავი დაიზღვიოს და ბევრი რამ გაუკეთებელი არ დარჩეს.**

*_ იანვარი ზამთრის შუაგული თვეა და მარჩენალ მიწას აქედანვე სჭირდება საგაზაფხულოდ მომზადება. კარგად მოფოცხილ და დასუფთავებულ საკარმიდამო ფართობში, პირველ ეტაპზე, მიზანშეწონილია მოკირიანება, შემდეგ ორგანული და ფოსფორ-კალიუმიანი სასუქის შეტანა. ყოველივე ეს თანაბრად უნდა გავანაწილოდ და მხოლოდ ამის შემდეგ გადავბაროთ, როგორც ლენტისებური, ისე ჩვეულებრივი წესით. უმჯობესი კი ყოველთვის ლენტისებური გადაბარვაა.*

*შემოღობილ ფართობს ყოველთვის სჭირდება ყურადღება, სარების გამაგრება, დაზიანებული ადგილების შეკეთება. იანვრის თვის ზომიერი და მშრალი ამინდები ძალიან კარგი დროა ხეხილოვანი მცენარეებისთვის ზედმეტი ხმელი ტოტების შესაცლელად. უმჯობესია, სასხლავი მაკრატლის და მომცრო წალდის დახმარება, რათა ხმელი და დაზიანებული ტოტების შეტეხვით არ დავაზიანოთ ძირითადი მცენარე.*

*ნეშომპალას სიკეთეზე არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ შევახსენებთ ყველას, რომ იანვარში ხმელი, ჩამოცვენილი ფოთლების მოგროვება და სანეშომპალედ განკუთვნილ ადგილებზე გატანა უნდა მოვახდინოთ. ჩვენი მეურნეები ჯერ კიდევ ვერ მიეჩვივნენ ამ საუკეთესო, ბუნებისგან მოძღვნილი უნიკალური სასუქის სათავისოდ გამოყენებას და ზამთრისა თუ ადრიანი გაზაფხულის მზიან ამინდში დაუნანებლად წვავენ, მხრჩოლავი კვამლი ასდის ჩვენს საკარმიდამო ნაკვეთებს. ნეშომპალისგან მიღებული მიწა-სასუქი საუკეთესო საკვებია ოთახის მცენარეებისთვისაც. მათ, ვისაც ოთახის ყვავილები უყვართ, ვურჩევთ, საგანგებოდ მოამზადონ ნეშომპალა იანვარში და აპრილში ქოთნების მიწა ამით შეცვალონ ანუმოახდინონ შერევა.*

*იანვარში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა სარების, ჭიგოების მომზადება და ზომების მიხედვით მისი დალაგება, რათა გაზაფხულზე ლობიოსა თუ პომიდვრისთვის მზად გვქონდეს.*

*მართალია, გასხვლის პერიოდი ადრე გაზაფხულზე იწყება, მაგრამ იანვარში თუ კარგი ამინდებია, ნუ შეგვეშინდება ვენახის გასხვლაც, _* გვირჩევს აკაკი ღლონტი და ამბობს, რომ კივის გასხვლაც დასაშვებია ამ დროს, რადგან არიან მეურნეები, რომლებსაც ასეულობით ძირი კივი აქვთ და ყველას ერთად გაზაფხულზე გასხვლა ძნელი მოსასწრებია: _ *ამიტომ, იანვრის კარგ დღეებს არა ერთი საგაზაფხულო საქმე უნდა გამოვტაცოთ.*

*იანვარი კარგი თვეა ორმოების მოსამზადებლადაც, რომლის განოყიერება უმეტესად ორგანული სასუქით უნდა მოხდეს. პერიოდულად ბარის პირით ავურიოთ და გაზაფხულზე კი უკვე მომზადებულ ღრმულში ჩავრგოთ სასურველი კულტურის ნერგი.*

***"კარმიდამო ჩემი"***



**აკაკი ღლონტი საკუთარ კარმიდამოში**
| ფოტო: "გურია ნიუსი"

## ჩემო საყვარელო გურულებო,
## გილოცავთ ახალ 2015 წელს!



აყვავებული, გამდიდრებული, ტერიტორიულად გამთლიანებული
ქვეყანა გვქონოდეს!

გამრავლდით და გაძლიერდით, მრავალჟამიერ!

***ბონდო ღლონტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი,***
***სოფელი გურიანთა***

## კარს მომდგარ
## ახალ წელს გილოცავთ
## ერსა და ბერს!
## სრულიად საქართველოს!



ბედნიერებამ დაიბუდოს
თქვენს გულებში, თქვენს ოჯახებში,
ჩემო საყვარელო ხალხო!

მოუწყინარი სიცოცხლე და ბედნიერი
ყოფა გქონოდეთ!
იხარეთ!

***ხვიჩა წულაძე,***
***ოზურგეთის მუნიციპალიტეტის***
***საკრებულოს დეპუტატი,***
***სოფელი შემოქმედი***

## 2015 წლის შემოსვლასთან
## გილოცავთ,
## ჩემო ძვირფასო გურულებო!

მოყვარე ღმერთმა გიმრავლოთ! მტერი დაგიმარცხდეთ!
ტერიტორიულად გამთლიანებული საქართველო გვეხილოს!

ხვავი და ბარაქა თქვენ, ულევი სიხარული და ბედნიერება!

***ბიძინა გობრონიძე,***
***ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი,***
***სოფელი თხინვალი***





## უდიდესი სიყვარულით გილოცავთ
## 2015 წლის შემობრძანებას,
## ჩემო საყვარელო ხალხო!

განსაკუთრებულ გაძლიერებას ვუსურვებ ქართულ სოფელს _
ქვეყნის სიძლიერის სიმბოლოს!

მრავალჟამიერი არ მოგშლოდეთ!

***შალვა შავიშვილი,***
***ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის***
***ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის დირექტორი***

## ჩემო საყვარელო ხალხო!
## უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ
## ახალი 2015 წლის შემობრძანებას!



ჯანმრთელობა, ბედნიერება,
ხვავი და ბარაქა დაგბედებოდეთ!

***ლაშა თავაძე,***
***ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის***
***იურიდიული სამსახურის უფროსი***

კულინარია

# ციტრუსოვანთა კულინარიული სამზარეულო

## ფორთოხლის ნამცხვარი

**საჭირო მასალა:** ხუთი კვერცხი, ორი ჭიქა შაქარი, 100 გრამი კარაქი, ორი ცალი მოხარშული ფორთოხალი (კურკაგაცლილი და გატარებული), 250 გრამი ორცხობილას ფქვილი, 1 **ჩაის კოვზი სოდა ძმრით, ვანილი.**

კვერცხითა და შაქრით გავაკეთოთ გოგლიმოგლი. დავამატოთ დარბილებული კარაქი, ავთქვიფოთ, დავაყაროთ ორცხობილას ფქვილი, სოდა ძმრით, ვანილი და კარგად ავურიოთ. შემდეგ გავყოთ შუაზე და ორ ნაწილად გამოვაცხოთ პერგამენტდაფენილ, **ცხიმწასმულ** "ჟარონაზე", **საშუალო სიმხურვალის ქურაში.**



**კრემი:** ერთი ცალი შედედებული რძე და 200 გრამი კარაქი ავთქვიფოთ კარგად. გავაკეთოთ ჩვეულებრივი ცივი კრემი. დავამატოთ ნახევარი ლიტრი რძითა და უმაღლესი ხარისხის ფქვილით მომზადებული ფაფა. კარგად ავურიოთ მიქსერით. დავუმატოთ ვანილი და ყვითელი ფერის საკონდიტრო ფხვნილი. კვლავ კარგად ავურიოთ. მივიღებთ ყვითელი ფერის ჰაეროვან კრემს. შემდეგ წავუსვათ ეს კრემი ნამცხვრის ჯერ ერთ, მერე კი ზედ დადებულ მეორე ფენას. კიდეებზე მივაფრქვიოთ ორცხობილას ფქვილი, რომელშიც შაქრის პუდრა იქნება არეული, ზემოდან კი მთლიანად დავფაროთ მრგვალად დაჭრილი ქერქშემოცლილი ფორთოხლით. დაჭრის დროს, უნდა ვეცადოთ, რომ თითოეულ ნაჭერს ზედ იდოს ფორთოხლის ერთი მრგვალი ნაჭერი.

## ლიმონის რძიანი სასმელი

**საჭირო მასალა:** სამი ლიტრი რძე, ექვსი ცალი ლიმონი, სამი კილოგრამი შაქარი, სამი ჩაის ჭიქა სპირტი ან ორნახადი არაყი.



ლიმონი დავჭრათ წვრილად და ჩავყაროთ ადუღებულ რძეში, რომელშიც გახსნილია შაქარი. დავამატოთ სპირტი, მოვურიოთ. დავდგათ და ერთი კვირის განმავლობაში, დღეში ორჯერ ვურიოთ. კვირის ბოლოს ორჯერ გავწუროთ მარლაში. დავამატოთ ვანილი და თუ გვსურს, რომელიმე სახეობის ფერი.

სტუმარს მიართვით და თქვენც მიირთვით საწრუპი ჩხირებით.

# სვანური სამზარეულო

## კუბდარი



საქონლის ბარკლის და ზურგის ნაჭრის ხორცი ისე სუფთად უნდა ამოვიღოთ, რომ არ უნდა გაირეცხოს. დავჭრათ წვრილად. წვრილად დავჭრათ ხახვი და ხორცს დავაყაროთ, დავამატოთ ცხიმი, სვანური მარილი გემოვნებით და ხელით კარგა ხანს ვსრისოთ. მოვაგუნდაოთ და ერთი საათით მაინც გავაჩეროთ. ცალკე მოვზილოთ პურის ფქვილი, მოვამზადოთ უფრო სქელი ცომი, ვიდრე ხაჭაპურისთვის გვჭირდება. როგორც კი აფუებას დაიწყებს, ერთხელ ამოსული ცომის გუნდებს მოვამზადებთ. გავაბრტყელებთ საშუალოდ, ხაჭაპურის ცომზე მეტი სისქისა უნდა იყოს. დავდებთ ზედ ხორცის ფარშს, კარგად რომ დაეტიოს, მოვუხვევთ თავს ისე, რომ არ გაიხსნას, მერე საშუალო ცეცხლზე უნდა გამოვაცხოთ, ცხელ ღუმელში. ხორცი შიგ უნდა ჩაიშუშოს და კუბდარის ზედაპირი დაიბრაწოს.




# დარიჩინი დიაბეტის სამკურნალო საშუალებაა

**მოახლოებული ახალი წელი მსუყე და მრავალფეროვან სუფრასთან გვიხმობს. ხშირად ყველას უჭირს ამ დროს თავის შეკავება.**



დიაბეტით დაავადებულთათვის ძალიან კარგი საშუალებაა დარიჩინით მკურნალობა. იგი ძალიან სასარგებლო პროდუქტია არა მარტო დიაბეტიანებისთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც ხშირად ემატებათ სისხლში შაქრის რაოდენობა. ნახევარ ჩაის კოვზ დარიჩინს დავამატებთ ერთ ფინჯან ჩაის (შეიძლება, მწვანეც იყოს). დალევთ დღეში ერთხელ. სისხლში მნიშვნელოვნად შემცირდება შაქრის რაოდენობა.

დარიჩინი ხელს უწყობს ტვინის რეცეპტორების გაქტიურებას და და ამასთანავე დაბლა სწევს ქოლესტერინს. ექიმები არ გვირჩევენ დარიჩინიანი ფუნთუშის მირთმევას, რადგან ის ცხიმს შეიცავს. დანამატის სახით დარიჩინი უნდა მივირთვათ ბოსტნეულის სალათებთან და ფაფეულთან. შაქრიანებისთვის ის ამ შემთხვევაშია სასარგებლო.

ნომრის რეცეპტი

# საახალწლო კანაპეები ქარხლით და ქაშაყით



**საჭირო მასალა:** მზა ფენოვანი ცომი; ქაშაყის ფილე ან მზა ქაშაყი ღვინის სოუსში; 1-2 ცალი ჭარხალი; მაიონეზი, ნიორი.

**მომზადება:** ჩაღრმავების მისაღებად, გაბრტყელებულ ცომზე დავაკრათ ცომისვე ზოლები კიდეებად, შესაწებებლად წავუსვათ ცოტა წყალი და ისე გამოვაცხოთ.

ამ კანაპეს ხანდახან, გულსართთან ერთადაც აცხობენ. გულსართისთვის მოვხარშოთ ჭარხალი, საშუალო სახეხზე გავხეხოთ, შევკმაზოთ ნივრით, მაიონეზით, გადავიტანოთ გამომცხვარ ცომზე, დავალაგოთ ქაშაყის ფილე. მოვრთოთ მწვანილით თეფში.

**ახალი წლის შემობრძანებას ვულოცავ ყველა მშრომელ ადამიანს!**

ბარაქა დაგებედოთ და ჭირნახულით
ავსებული ბეღლები და ნალიები გქონოდეთ,
ჩემო ძვირფასებო!



*ტიფო მიქატაძე,*
*შპს "ხელხვავი აგროს" დირექტორი*

**ახალი წლის შემობრძანებას ვულოცავ
სრულიად საქართველოს,
განსაკუთრებით გურულებს მივესალმები!**

ქართული სოფლის, ქართული ჩაის აღორძინების
ყოფილიყოს დამდეგი 2015 წელი!
ომახიანი მრავალჟამიერის სურვილი და განწყობა
გქონოდეთ!



*გიგა ხარაბაძე, ოზურგეთის ეკონომიკის და სოფლის*
*მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი*

იკითხეთ

კარმიდამო ჩემი

პასუხისმგებელი რედაქტორი მარინე ჩიხლაძე, ( 5(93)183992; 5(71)903985; Email: guria@gurianews.com; m.cixladze@gmail.com.
სარეკლამო სამსახური: 577725854
რეკლამის ფასები კვადრატულ სანტიმეტრებში (მთელი გვერდის ფართია 1000 კვადრატული სანტიმეტრი):
პირველ გვერდზე _ 1.75 ლარი ; ბოლო გვერდზე: _ 0.70 ლარი; დანარჩენ გვერდებზე _ 0.35 ლარი.
ჩანართის სპეციფიურობიდან გამომდინარე, პოლიტიკური რეკლამის ფასი ოთხმაგია.